ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 დეკემბერი 2004 №296 (2317) ფასი 50 თეთრი




# მსოფლიოს რონალდინიოს გაუღიმა

ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებმა და კაპიტნებმა ერთხმად არა, მაგრამ მაინც გვარიანი უპირატესობით წლის ფეხბურთელად რონალდინიო აღიარეს.

ყოველგვარი გამოკითხვის შედეგი გამოკითხულთა გემოვნებას ეყრდნობა, გემოვნება კი ისეთი რამაა, დაუსრულებლად რომ შეგიძლია იკამათო.

შეგვიძლია ვიკამათოთ, რომ რონალდინიოზე მეტად საუკეთესოობა მეორე ადგილზე გასულ ტიერი ანრის ერგებოდა, ან მესამეადგილოსან ანდრეი შევჩენკოს, ან სულაც დიდიე დროგბას, რომელიც ოთხი ნაკრების მწვრთნელმა მიიჩნია საუკეთესოდ.

მაგრამ დავა იმაზე, არის თუ არა რონალდინიო ბურთის ჯადოქარი და რომ თამაშის გაკეთება შეუძლია, ისევე უაზროდ მოჩანს, როგორც, ვთქვათ, ის, რომ რონალდინიო ყველაზე ღიმილიანი ფეხბურთელია მსოფლიოში.

მოკლედ, რონალდინიო — ფიფას ვერსიით მსოფლიოს მეთოთხმეტე საუკეთესო ფეხბურთელი.

REUTERS ფოტოსიახლე





REUTERS ფოტოსიახლე

## ქართული ხმები





| ალენ ჟირესი | კახა კალაძე |
|---|---|
| ადრიანო | ანდრეი შევჩენკო |
| ანდრეი შევჩენკო | პაოლო მალდინი |
| რონალდინიო | კაკა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგა გახოკიძე იანვრიდან ისევ ითამაშებს. ფეხბურთელს, რომლის კარიერაც ზაფხულს აქეთ დაღმა წავიდა, რამდენიმე დღის წინ თავისი ძველი კლუბი, ჰოლანდიური „ტვენტე" დაუკავშირდა და სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. გოგამ ეს წინადადება მიიღო, თუმც კლუბს სეზონის ბოლომდე თამაშზე შეუთანხმდა.

არადა, რა იყო სეზონის დასაწყისში? გოგა გახოკიძე „ტვენტედან", სადაც საუკეთესო იყო, მაისში აიბარგა და რუსულ „კრილია სოვეტოვს" მიაშურა. ის ახალ გუნდს შეკრებაზეც ახლდა, სამარაში დაბრუნებულმა კი „კრილიასთან" კონტრაქტი გააფორმა. მალევე ეს კონტრაქტი გაუქმდა. ეგ იყო და, გოგა ჟურნალისტებთან ურთიერთობას მოერიდა. გახოკიძე უგუნდოდ დარჩა, მაგრამ ერთი-ორი დღით: ჩვენიანი დონეცკის „მეტალურგმა" მიიწვია, თავისთან ავარჯიშა და დეკემბრამდე დაიტოვა. დაიტოვა, მაგრამ მისი საქმეები არც „მეტალურგში" აეწყო.

მოკლედ, გოგა გახოკიძეს ამ სეზონში ხეირიანად ჯერ არ უთამაშია. სათავისო გუნდში ვერ მოხვდა, ნაკრებში კი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ახლა ის გუნდშიც არის და ნაკრების კარიც ღია აქვს. თამაშის განახლებამდე კი გოგა გახოკიძე თბილისშია, ვარჯიშობს და მალე „ტვენტესაც" ჩააკითხავს...

# კრილიაში მოტყუებული, მეტალურგში ათვალწუნებული, ტვენტეში დაბრუნებული

## გოგა გოხოკიძე თამაშს იწყებს



— დავისვენე, როგორც იქნა, „ტვენტესთან" კონტრაქტი გავაფორმე და ახლა მაინც ვიცი, რომ ვითამაშებ. „ტვენტემ" როგორც ადრე, თბილად მიმიღო, ყურადღება არ მომაკლო, ხელმძღვანელებმა მაგრძნობინეს, რომ ჩემი იმედი აქვთ და ვეცდები, მოლოდინი გავუმართლო. ახლა თბილისში, „ტვენტედან" წამოღებული ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. გუნდს კი იანვარში შევუერთდები.

**— „ტვენტესთან" ისევ ექვსთვიანი კონტრაქტი რატომ გააფორმე?**

— იმიტომ, რომ უკეთეს გუნდში გადასვლა მსურს. ვნახოთ, სეზონს ჰოლანდიაში ჩავამთავრებ და თუ კარგი ვარიანტი მექნება, „ტვენტეს" უპრობლემოდ დატოვება შემეძლება, თუ არა და, ამ გუნდთან კონტრაქტს გავაგრძელებ. ისე კი, ჰოლანდიელები ახლავე მთავაზობდნენ სამწლიან სამსახურს.

**— უკვე კაი ხნის ამბავია, მაგრამ მაინც: რა მოხდა „კრილია სოვეტოვში"? როგორც ვიცით, ამ გუნდთან კონტრაქტი გაფორმებული გქონდა, მაგრამ რამდენიმე დღეში სამარა დატოვე.**

— „კრილია სოვეტოვს" რუსეთის ჩემპიონატში შესვენებისას, გერმანულ შეკრებაზე შევუერთდი. ერთი კვირა გუნდთან ერთად ვივარჯიშე, მერე სამარაში გავყევი და ჩემპიონატის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე კონტრაქტიც გავაფორმე. მომატყუეს, დღემდე არ ვიცი, რა მოხდა. ფაქტია, კონტრაქტი გაფორმების მეორე დღესვე დაარღვიეს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— პირობების შესრულებაზე უარი თქვეს. რატომ, არ ვიცი, რუსებს ჰკითხე.

**— რუსებმა თქვეს, გუნდის ლიდერის ანდრეი კარიაკას გასხვისებას ველოდით და გახოკიძე მის შემცვლელად გვყავდა შეგულებულიო.**

— კი, მაგრამ, კონტრაქტს რალას მიფორმებდნენ? ისე, კონტრაქტის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი, მგონი, ესეც იყო — კარიაკა ველარ გაყიდეს.

**— და წახვედი დონეცკის „მეტალურგში"...**

— იქ კიდევ უარესი მელოდა... არადა, ვიდრე „კრილიაში" წავიდოდი, სწორედ „მეტალურგი" მიწვევდა. ჩავედი დონეცკში, ერთი კვირა ვივარჯიშე და ხელმძღვანელობამ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად დამიძახა. დავსხედით, ვილაპარაკეთ და შევთანხმდით, კონტრაქტი დეკემბრამდე გავაფორმე.

**— მაგრამ აღარ გითამაშია.**

— როგორ ვითამაშებდი, როცა კონტრაქტის გაფორმების დღიდან წამოსვლამდე „მეტალურგის" მწვრთნელის სიტყვაც არ გამიგია. არ ვიცი, სლავოლიუბ მუსლინს ჩემი რა არ მოეწონა, რა არ აკმაყოფილებდა, ჩემკენ არც გამოუხედავს. სამაგიეროდ, მუსლინი თავის თანამემამულე სერბებზე იყო გადაყოლილი. „მეტალურგში" სანახევროდ სწორედ სერბი ფეხბურთელები ჰყავდა.

**— „მეტალურგის" მერე „ტვენტეში" როგორ აღმოჩნდი?**

— ჰოლანდიელები დამიკავშირდნენ და მათთან თამაში შემომთავაზეს. როგორც გითხარი, თავიდან სამწლიან კონტრაქტზე მელაპარაკებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ სეზონის ბოლომდე თამაშზე შევუთანხმდი.

**— შარშანდელს აქეთ „ტვენტეში" ბევრი სიახლე დაგხვდა?**

— ის მწვრთნელი, ვინც პსვ-დან „ტვენტეში" მიმიწვია, ბელგიურ „გენკში" წასულა, მწვრთნელად კი მისივე ყოფილი თანაშემწე დაუნიშნავთ. ახლა სწორედ მას გავხსენებივარ. ფეხბურთელებიც წასულან, მაგრამ ძველებიდან შვიდირვა კაცი ისევ თამაშობს.

**— „ტვენტე" შარშანდელივით რომ ველარ ყოჩაღობს და გავარდნის პირასაა, ეს შენს ამბიციებზე არ იმოქმედებს?**

— ჩემთან ერთად „ტვენტემ" რამდენიმე კარგი ფეხბურთელი გადაიბირა და ამბობენ, მეორე წრიდან უკეთესი გუნდი გვეყოლებაო. თბილისში წამოსვლამდე „ტვენტესთან" რამდენჯერმე ვივარჯიშე და საკმაოდ კარგი გუნდის შთაბეჭდილება დამრჩა. გავარდნაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. „ტვენტე", თუ სასწაული არ მოხდა, პირველ დივიზიონში დარჩება.

**— და ერთიც, ნაკრებზე გვითხარი. შენი დისკვალიფიკაციის ვადა უკრაინასთან მატჩის შემდეგ ამოიწურა. ნაკრებიდან არავინ დაგკავშირებია?**

— არა, არავინ, უთამაშებელი, აბა, ვის დავჭირდებოდი?! ახლა კი ფორმას ალვიდგენ, ჰოლანდიის ჩემპიონატში ვითამაშებ და მერე ნაკრებში მოხვედრაზეც ჩემი წილი პრეტენზია მექნება.

**ქობა ინასარიძე**

# იაშვილის ბელარუსული ვოიაჟი შოტლანდიისთვის

## ცვეიბა — ბიშოვეცი — რომანოვი



**19 წლის** სანდრო იაშვილი, რომელიც ამ სეზონის პირველი ეტაპისთვის „თბილისმა" „დინამოდან" ინათხოვრა, შოტლანდიურ „ჰართსში" გადასვლას ეშურება — იაშვილი უკვე გაემგზავრა თბილისიდან, მაგრამ შოტლანდიის ნაცვლად ბელარუსში.

იაშვილის ვოიაჟი ახრიკ ცვეიბამ დაგეგმა, წარსულში თბილისისა და კიევის „დინამოს" ფეხბურთელმა, ვინც ახლა მოსკოვში საქმიანობს. ცვეიბას ინიციატივით იაშვილი უკვე იყო უცხოურ კლუბში, მაგრამ სამარის „კრილია სოვეტოვთან" მისი ტრანსფერი ფინანსური პირობების შეუთანხმებლობის გამო არ შედგა.

ახლა ისიც ვთქვათ, იაშვილის ასეთი უცნაური ვოიაჟი რისი ბრალია. მინსკში საერთაშორისო ტურნირი იმართება, სადაც „ჰართსი" მეორე გუნდითაა წარდგენილი, ახალგაზრდა ფეხბურთელებით. „ჰართსში" კი სელექციონერად და მწვრთნელთა კონსულტანტად უკრაინელი სპეციალისტი ანატოლი ბიშოვეცი მუშაობს, ხოლო ბიშოვეცი „ჰართსში" ამ კლუბის ყველაზე დიდმა მეწილემ, ლიტველმა ბანკირმა რომანოვმა მიიწვია.

რომანოვი — ბიშოვეცი — ცვეიბა — იაშვილი — აი, ასეთ ჯაჭვთან გვაქვს საქმე და იაშვილი „ჰართსში" გადასვლას მინსკიდან რომ უმიზნებს, ძალიან არ უნდა გაგვიკვირდეს.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ბათუმის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე იანვარში მოსკოვის „ლოკომოტივში" გადავა. ეს ინფორმაცია გუშინ თავად ფეხბურთელმა ერთხელაც დაგვიდასტურა. „პაჭელო" ახლა თბილისშია, „ბათუმთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და უახლოეს გეგმებზეც გვესაუბრება...

# პაჭელოს ლოკომოტივი თითქმის გადაწყვეტილია



— „ბათუმიდან" უკვე წამოვედი. ახლა „თბილისს" მივყვები „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ.

**— „ბათუმთან" აღარაფერი გაკავშირებს?**

— არა, თავისუფალი ვარ.

**— „თბილისიდან" „ბათუმში" რომ გადახვედი, მაშინ „თბილისიდანაც" გაგათავისუფლეს?**

— მე ის ვიცი, რომ თავისუფალი ვარ და არავის ვეკუთვნი. ერთადერთი, ვისთანაც კონტრაქტი მაქვს, ჩემი მენეჯერი მამუკა ჯულელია.

**— მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე" ვითამაშებო, მერე რა გეგმები გაქვს?**

— მოსკოვშივე დავრჩები.

**— „ლოკომოტივთან" კონტრაქტის გასაფორმებლად?**

— დიახ, ეგ ამბავი თითქმის გადაწყვეტილია.

**— სარეზერვო გუნდში გათამაშებენ თუ თავიდანვე ძირითად გუნდში იქნები?**

— ეგ ჯერ არ ვიცი. როგორც იქნება საჭირო, ისე მოვიქცევი. არა მგონია, „ლოკომოტივში" გადასვლა ვინმემ უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩამითვალოს.

**კახა შალამბერიძე**

| იტალია | |
|---|---|
| სერია B. XVIII ტური | |
| ასკოლი 4:0 ჩეზენა | |
| სერია C1/B. XVI ტური | |
| ლანჩანო 1:0 პეზარო | |

| ინგლისი | |
|---|---|
| პრემიერლიგა. XVIII ტური | |
| ჩარლტონი 2:1 ფულემი | |

| პორტუგალია | |
|---|---|
| სუპერლიგა. XV ტური | |
| გიმარაეში 2:4 სპორტინგი | |

B ლიცენზიის მისაღები სემინარების სერიალი გრძელდება. ამჯერად ჩვენს მწვრთნელებს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მომზადების საერთაშორისო, კოვერჩანოს სკოლის მენეჯერი, იტალიელი ფრანკო ფერარი მოძღვრავს, რომელიც საქართველოში ადრეც არის ნამყოფი. ჩვენს ქვეყანაში მწვრთნელთა B ლიცენზირების ინიციატორმა გაიოზ დარსაძემ და სინიორ ფერარიმ საქართველოს ნაკრების ბაზაზე მიგვიწვიეს ჟურნალისტები. ფერარის სემინარებს თემურ ქეცბაიაც ესწრებოდა, რომლის კვიპროსულ „ანართოსისს" ახლა ზამთრის შესვენება დაუდგა.

როგორც ტიპიურმა იტალიელმა, ფრანკო ფერარიმ ჟესტებით და ტემპერამენტით ილაპარაკა თავისი ვიზიტის მიზნებზე და შეკითხვათა მცირე დეტალებიც არ დაუტოვებია უპასუხოდ

# B ლიცენზირება ფერარის სისწრაფით

# ნუ დაკარგავთ ეზოს ფეხბურთს!



— B კატეგორიის ლიცენზიის კურსები მწვრთნელს თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენის შანსს აძლევს. პოზიტიური მომენტია, როდესაც მწვრთნელს უჩნდება ეჭვები, ამით კრიტიკული ანალიზიც იბადება. ნებისმიერ სპეციალისტს სჭირდება უფლებამოსილების გაფართოება. ადრეც ვიყავი საქართველოში და ამდენად პარალელის გავლება შემიძლია: თქვენს მწვრთნელებს მოტივაცია გაეზარდათ. მათ უნდათ, რომ მსოფლიო ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცნენ და იციან, რომ ამისთვის სწავლა აუცილებელია. მაგალითად, შესაძლოა, მამამ თავისი შვილის ჩვეულებებში ცვლილება ვერ შენიშნოს, მამის ახლო მეგობარი კი შენიშნავს. ასე რომ, ზოგჯერ უცხო თვალისთვის უფრო იოლია ცვლილებების დანახვა.

**— ტაქტიკური ცოდნით იტალიელ და ქართველ მწვრთნელებს როგორ შეადარებდით?**

— მხოლოდ სამი დღეა, რაც საქართველოში ვარ და ღრმა ტაქტიკური, სპეციფიკური შეკითხვები თქვენი მწვრთნელებისთვის არ დამისვამს. ისე კი, როცა მონდომება გაქვს, შეუსწავლელი არაფერი დაგრჩება. როდესაც უცხოელი სპეციალისტი ჩამოდის, ადგილობრივი მწვრთნელები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ და ყურადღებით უსმენენ — არა იმიტომ, რომ უცხოელი მათზე ათჯერ მცოდნეა, უბრალოდ, უცხოელია და სხვა თავისებურებები აქვს.

**— გაისად, ზაფხულში საქართველოში A ლიცენზიის სემინარებიც იგეგმება. თქვენც გააგრძელებთ ჩვენს მწვრთნელებთან მუშაობას?**

— დრო თუ მექნება, არაფერი დამაბარკოლებს, მაგრამ შედარებით თავისუფალი მაისამდე ვარ. ჩემი მუდმივი სამუშაო არეალი იტალიაა, ასევე სხვადასხვა კონფერენციებში ვმონაწილეობ.

**— ბოლო წლებში ფეხბურთში ფიზიკური მომზადება უფრო წინა პლანზე წამოვიდა, რამაც ტექნიკა თითქოს დაჩრდილა. თქვენც ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— თანამედროვე ფეხბურთში ტექნიკა, აზროვნება, ტაქტიკა და ფიზმომზადება შერწყმული უნდა იყოს ერთმანეთში. რაღაც დოზით ყველაფერი საჭიროა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ძალისმიერი ფეხბურთი ბატონობს. განა ძალისმიერმა გუნდმა მოიგო ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი?..

**— ეზოს ფეხბურთს რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ? საქართველოში ეს ტრადიცია სულ უკან-უკან მიდის და იტალიაში რა მდგომარეობაა?**

— ეზოს ფეხბურთი ნაღდი ფეხბურთია. იტალიაში ამ მხრივ ძალიან ცუდადაა საქმე, ყველგან მანქანებია და ბავშვს თუ ფეხბურთი უნდა, აუცილებლად საფეხბურთო სკოლაში უნდა შევიდეს. ეს ცუდია. პირადად მე დღეში 5-6 საათი ვთამაშობდი ეზოში. ამ მხრივ იდეალური იქნებოდა, ეზოს ფეხბურთი მინდორზე გადაგვეტანა, მაგრამ ეს შეუძლებელია — ეზოს ხომ განრიგი არა აქვს. ამიტომაცაა, რომ ჩემს სამშობლოში დიდი ქალაქებიდან ფეხბურთელები არ მოდიან, პროვინციებიდან კი — რამდენიც გინდა. არ ვიცი, ამ მხრივ საქართველოში რა მდგომარეობაა, მაგრამ ეზოს ფეხბურთს თუ არ დაკარგავთ, ძალიან ბევრს მოიგებთ.

**— ბოლო წლებში რამდენიმე ფეხბურთელი გარდაიცვალა თამაშისას ან თამაშის შემდეგ. თქვენი აზრით, რატომ გახშირდა ასეთი შემთხვევები?**

— იტალიაში მსგავსი უბედური შემთხვევა დიდი ხნის წინ მოხდა, როდესაც რენატო კური გარდაიცვალა. „პერუჯას" სტადიონი სწორედ მისი სახელობისაა. ჩემი აზრით, ექიმებს მართებთ მეტი ყურადღება, თითოეულ დეტალს უნდა ჩაუღრმავდნენ. მაგალითად, ნიგერიელ ნვანკვო კანუს „ინტერში" აღმოუჩინეს გულის დაავადება, არადა, იგი რამდენიმე თვის წინ ოლიმპიადის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და „აიაქსშიც" წამყვანი ფიგურა იყო. „ინტერს" იგივე შარშანწინაც შეემთხვა, როდესაც სენეგალელ ხალილუ ფადიგაში ფული უკვე გადახდილი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. კლუბის ხელმძღვანელობა მის თამაშს მოითხოვდა, ექიმები კი წინააღმდეგნი იყვნენ, რამაც გაუგებრობა წარმოშვა. ეს არის პრობლემა — თუ მოთამაშეს ჯანმრთელობა არა აქვს წესრიგში, გარისკვა არ შეიძლება, ანუ კლუბის ხელმძღვანელობამ და ექიმებმა შეთანხმებით უნდა იმუშაონ.

**— ბევრი კამათია იმაზეც, რომ კლუბებს ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვთ, რის გამოც ფეხბურთელები სანაკრებო თამაშებზე გადაღლილები ჩადიან. ეს უფრო მეტად მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე იგრძნობა...**

— მართალია. შორს რომ არ წავიდეთ, 2002 წლის მუნდიალი გავიხსენოთ, სადაც არგენტინა და საფრანგეთი გადაქანცულები თამაშობდნენ. ეს ფეხბურთელებს თვალის ერთი შევლებითაც ეტყობოდათ. კორეა და თურქეთი ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ განა ვინმე იტყოდა, რომ ისინი საფრანგეთზე ძლიერები იყვნენ? ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ ამხელა ფორუმზე ნაკრებების რეალურ ძალას ვერ დაინახავ.

**— და გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უეფამ უკვე მიიღო ზომები — ჩემპიონთა ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპი გააუქმა, მაგრამ, დამეთანხმებით, ეს დიდი შვება არ არის. უეფა კი იბრძვის, მაგრამ, აბა, კლუბებს ჰკითხეთ... მათ ხომ ფინანსები აკლდებათ. მაგალითად, თქვენ რომ პროფესიონალი ფეხბურთელი იყოთ, როგორ ისურვებდით — ნაკლები ითამაშოთ და ნაკლები ფული მიიღოთ, თუ ბევრი ითამაშოთ და ფული მოგემატოთ? ცხადია, მეორე ვარიანტს აირჩევდით და ამის გამოა, უეფა რომ მკაცრად ვერ იქცევა...

**ილია ნანობაშვილი**

# დაკვირვებები ბრაზილიაში

## გია ფირცხალავამ შარშანდელი და წლევანდელი შეადარა

თბილისის „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გია ფირცხალავას არცერთ კლუბში არ უმუშავია, თუმც საფეხბურთო სამყაროსთან კავშირი არ გაუწყვეტია. ბატონი გია გუშინ ჩამოვიდა ბრაზილიიდან, სადაც იქაური კლუბების განვითარების პროცესს აკვირდებოდა.

— ბრაზილიაში შარშანაც ვიყავი წასული, ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა „ატლეტიკო პარანენსეს" დირექტორ ანტონიო კარლოს გომესთან და მაინტერესებდა, რა შეიცვალა ამ კლუბში ერთი წლის განმავლობაში, როგორ ვითარდებიან — გვითხრა გია ფირცხალავამ — წლეულსაც მიმიწვიეს და ერთი თვე ვიყავი ბრაზილიაში. ძალიან საინტერესო დეტალები ჩავინიშნე და მიღებული ცოდნა აუცილებლად გამომადგება. როგორც იცით, ბრაზილიის ჩემპიონატი გუშინწინ დასრულდა და „ატლეტიკო პარანენსეს" ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე. კიდევ ორი კლუბის — „პარანასა" და „კურიტიბას" მუშაობასაც დავაკვირდი. გადმოცემაც არ შეიძლება, თუ როგორ უყვართ ბრაზილიაში ფეხბურთი: მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების პირველობების პარალელურად სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ხომ მიმდინარეობს ჩემპიონატები და, წარმოიდგინეთ, ბავშვთა მატჩებზეც კი სასწაული აჟიოტაჟი იყო."

გია ფირცხალავასთან ერთად ბრაზილიაში ჯემალ ჩიმაკაძეც იყო წასული, თუმც არველაძეების აღმზრდელს სულ სხვა მისია ჰქონდა — თბილისური „ლოკომოტივისთვის" ფეხბურთელები უნდა შეერჩია. ჯერჯერობით არ ვიცით, რა გამოვიდა ამ საქმიდან, თუმც, ფირცხალავას თქმით, ბატონ ჯემალს რამდენიმე ნიჭიერი ბიჭის გვარი ჩაუნიშნავს...

**ილია ნანობაშვილი**

# სამი ვეშაპი, დიდთევზები, ლიფსიტები

**საქართველოს** ნაკრებმა 104-ე ადგილზე დაასრულა 2004 წელი. ასეთია „ფიფა-კოკა კოლას" სეზონის შემაჯერებელი რეიტინგ-სია.

გავიხსენოთ, რომ 2004 წლის იანვარში საქართველოს ნაკრები 93-ე ადგილზე იყო, თუმც თებერვალში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე სამარცხვინო თამაშის მერე დაქვეითდა და მას შემდეგ მეორე ასეულშია.

ალენ ჟირესის ხელში ჩვენმა ნაკრებმა ოდნავ გამოიხედა თვალებში და 112-ე ადგილიდან 104-ზე ანაცვლებაღა შეძლო.

ჩვენს მეტოქეთაგან წლის ბოლოს ყველაზე მეტად, როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინამ იყოჩაღა — ათი საფეხურით წაიწია და ახლა 57-ზეა. დანია, თურქეთი და საბერძნეთი კი სულაც ოცეულში ნებივრობენ.

ძველებურად უცვლელია სამეული — ბრაზილია, საფრანგეთი და არგენტინა კვლავაც ზემოდან დაჰყურებენ მსოფლიოს.

**ბაჩა შალამბერიძე**



Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 843 | 14 | 12 | *თურქეთი* | 711 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 792 | 16 | 19 | ურუგვაი | 708 |
| 3 | 3 | არგენტინა | 785 | 17 | 17 | იაპონია | 707 |
| 4 | 5 | ჩეხეთი | 777 | 18 | 17 | *საბერძნეთი* | 706 |
| 5 | 4 | ესპანეთი | 765 | 19 | 16 | გერმანია | 705 |
| 6 | 6 | ჰოლანდია | 758 | 20 | 20 | ირანი | 697 |
| 7 | 8 | მექსიკა | 753 | | | | |
| 8 | 7 | ინგლისი | 752 | 57 | 67 | *უკრაინა* | 580 |
| 9 | 8 | პორტუგალია | 747 | | | | |
| 10 | 10 | იტალია | 738 | 86 | 87 | *ალბანეთი* | 515 |
| 11 | 11 | აშშ | 726 | | | | |
| 12 | 14 | ირლანდია | 716 | 104 | 107 | საქართველო | 455 |
| 13 | 15 | შვედეთი | 715 | | | | |
| 14 | 13 | *დანია* | 711 | 147 | 147 | *ყაზახეთი* | 313 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# ლეგიონი: დავიწყეთ რომანით, ვამთავრებთ დეპეშით
# ნიტა, აი, მეც გამოვჩნდი!


ორგოლა კლიმენტი წიტაიშვილი

ლეგიონერთა სია ისე შეგვითხელდა, რომ მოსაყოლი ბევრიც არაფერია. მით უმეტეს, მილანელი კახა კალაძის და რეინჯერსელი შოთა არველაძის ამბები გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ.

*ახლა კი ბერძენ-კვიპროსელ ქართველებზე ვთქვათ.* საბერძნეთის ჩემპიონატში *ლევან მაღრაძე* საფუძვლიანად დამკვიდრდა და თითქმის ყოველ ტურში შეუცვლელად თამაშობს. მაღრაძის „ქსანთი“ გუშინწინ „ირაკლისს“ სტუმრად დაუზავდა და ახლა მეხუთე ადგილზეა. ჩვენებურმა კი 90 წუთი ითამაშა.

*უფრო მეტად იყოჩაღეს კუნძულელმა ქართველებმა.* „ანართოსისმა“ 4:2 მოუგო „სალამინას“ და ამაში ლომის წილი ჩვენიანებმა დაიდეს. *კლიმენტი წიტაიშვილმა* ორი გოლი გაიტანა, *თემურ ქეცბაია* კი საგოლე პასს დასჯერდა. 12 ტურის მერე ფამაგუსტელებს 30 ქულა აქვთ და კვლავაც ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩებიან ლიდერ „აპოელს“.

მეოთხე საამსეზონო გოლი მიითვალა *ლევან ქებაძემ,* თუმც მისი „პარალიმნი“ ოდენ ქულას გამორჩა აეკ-ს. ქებაძემ შეუცვლელად ითამაშა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა ამ გოლით.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | იუვენტუსი 0:0 | 62 | | 9 | 1 | 2 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | კილმარნოკი 1:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 3 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | კილმარნოკი 1:0 | 0 | | 12 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | ს | კერკერა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 14 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ირაკლისი 1:1 | 90 | | 11 | 0 | 5 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ანთალია 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | სალამინა 4:2 | 83 | საგოლე პასი | 11 | 4 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | სალამინა 4:2 | 90 | | 10 | 2 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | სალამინა 4:2 | 90 | 2 გოლი | 12 | 4 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | სალამინა 4:2 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | შ | სალამინა 4:2 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აეკ 1:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 4 | 8 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | ს | აეკ 1:1 | 0 | | 10 | 2 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | პაფოსი 2:1 | 63 | შეცვალეს | 7 | 1 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# არ მოაწერე კონტრაქტს ხელი და გაკრიტიკებ





## მაკლიშმა შოთას ჰეთ თრიქი მოსთხოვა

**ალექს მაკლიშის** „გლაზგო რეინჯერსი“ რა ხვითოც არის, ქვეყანამ იცის. თუ მაინცდამაინც შედარებაზე მიდგება საქმე, ახლანდელი „რეინჯერსი“ 70-80-იანი წლების საშუალო გაქანების ბრიტანულ გუნდებს ჩამოჰგავს, სადაც ერთი-ორი გამორჩეული ფეხბურთელი ყოველთვის მოიძებნებოდა, მაგრამ ასეთ გუნდებს რა მწვრთნელებიც ჰყავდათ, ისინი მაკლიშს ძალიან ჰგვანან.

შოთა არველაძეს კი „რეინჯერსთან“ კონტრაქტი სეზონის დამთავრებისთანავე უმთავრდება, კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ პირობებზე უარი თქვა და იმიტომ. მაგრამ ფულის გარდა ისიცაა, რომ შოთა ბოლო დროს „რეინჯერსში“ ხან გამთამაშებელია, ხან მარჯვენა ნახევარმცველი, ხან მარცხენა ინსაიდი და რამდენჯერმე საყრდენ შუახაზელადაც კი ათამაშა მაკლიშმა.

შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში კი მაკლიშმა არველაძე, როგორ იქნა, ფორვარდად გაამწესა და „რეინჯერსმაც“ ქართველის გოლით მოიგო სტუმრად „კილმარნოკთან“.

მაკლიშმა ნამატჩევს სხვათა გარდა შოთაზეც ილაპარაკა: „მან დიდებული გოლი გაიტანა, შოთას ასეთები ეხერხება, მაგრამ მას მეტი ყურადღებით უნდა ეთამაშა, როცა კიდევ იყო ხელსაყრელ პოზიციაზე. არველაძეს ამ მატჩში ჰეთ თრიქის შესრულება შეეძლო“.

როგორც უნდა იყოს, შოთას გოლი გამარჯვების მომტანი გამოდგა, რაც შეეხება ჰეთ თრიქს, წინა სეზონში მაკლიშის „რეინჯერსმა“ ვერც შოტლანდიის ჩემპიონობა მოიგო, ვერც ასოციაციის თასი და ვერც ლიგის თასი. მიმდინარე სეზონში კი „რეინჯერსს“ ყველაზე უფრო ასოციაციის თასის მოგების შანსი აქვს, საიდანაც „სელტიკი“ არველაძის გოლით დაიფრინა...

# ვიღაც შრევს

კიევის „დინამო“ ან სიტუაციაში ვერ ერკვევა ან რაღაცას ურევს. ამ ერთი კვირის განმავლობაში კიეველებმა სამი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გაავრცელეს...

## დინამომ როსტოვს ამისულაშვილი შეუთვალა



ჯერ იყო და, რუსულმა „როსტოვმა“ ალექსანდრე ამისულაშვილის გადაბირება მოინდომა, რაზეც „დინამომ“ დასტური გაუგზავნა, თუმც მოგვიანებით ეს ამბავი უარყო და ქართველი მცველიც თითქოს თავისთან დაიტოვა. ამის შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით...

ახლა კი გაირკვა, რომ კიეველები „როსტოვს“ მაინც დაჰყაბულდნენ. „დინამომ“ რუსებს ოფიციალურად მისწერა ფეხბურთელების დათმობის თაობაზე. გეცოდინებათ, ამისულაშვილთან ერთად „როსტოვი“ ანდრეი პროშინის, რუსლან ბიდნენკოს და სერგეი კორნილენკოს გადაბირებასაც ეშურება.

გუშინვე რუსული ვებ-გვერდების ცნობით, ალეკომ უკვე გააფორმა კონტრაქტი, თუმც ამ ფაქტის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ.

კიეველთა გადამკიდე, გამორიცხული არაა, კიდევ შეიცვალოს რამე.

**კახა შალამბერიძე**

# ვალერი გაგუას ქვარ-შავასთვის გააქვს

**თბილისური** „ლოკომოტივის“ ყოფილი ფორვარდი ვალერი გაგუა ისრაელის ჩემპიონატის მეორელიგელ ქვარ-შავას „ჰაპოელშია“ და კლუბის საუკეთესო შენაძენადაც ითვლება. გაგუამ უკვე სამი მატჩი ჩაატარა „ჰაპოელში“ და ორი გოლის გატანაც მოასწრო. როგორც იცით, ამ კლუბში გიორგი დარასელია თამაშობდა და იგი ახლაც იქაა, ოღონდ მეორე მწვრთნელად მუშაობს.

„ჰაპოელი“ მეორე ლიგის ლიდერია და თუ უმაღლესში აინაცვლა, გაგუა მომდევნო სეზონსაც ამ გუნდში გაატარებს. ვალერის კონტრაქტში სწორედ ეს პუნქტია ჩადებული.

**ლუკა თალაკვაძე**





# შუაღამის გაქცევა რომიდან

## ფრანჩესკო ტოტი: მე არც ვაჭარი ვარ და არც კაპელოსავით მოღალატე

*ფრანჩესკო ტოტი აღშფოთდა — თუ ჩემპიონობისთვის არ ვიბრძოლებთ, მაშინ „რომაში“ არაფერი დამრჩენია და უნდა წავიდეო, მაგრამ ამაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ კაპიტანმა ყოფილ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს და გუნდის ქომაგებსაც გაჰკრა კბილი*

„კლუბისგან ვითარების გარკვევას ველი — უთხრა ღლევანდელი იტალიური ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა „ილ მესაჯეროს“ — როდესაც სიტყვა კონტრაქტის განახლებაზე ჩამოვარდება, ხელფასზე ვაჭრობას არ დავიწყებ, რადგან ხელფასი, ამ შემთხვევაში, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც გუნდის გეგმა. როგორც ვხედავ, ვერ ვახერხებთ დასახული მიზნის შესრულებას და ცხრილში „რომას“ მესამე-მეოთხე ადგილებზე ვერ ვხედავ“.

მოგეხსენებათ, რამდენიმე წელიწადია ტოტის მომავალი მუდმივი კამათის საგანია. მის სავარაუდო ნავსაყუდელად ხან „რეალს“ ასახელებენ, ხან „ინტერს“, ხან „მილანს“ და რაც დრო გადის, თემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, ვინაიდან კაპიტანს კლუბთან დადებული ხელშეკრულების ვადა 2006 წლის ზაფხულში ეწურება. საინტერესოა, რომ ამასწინათ „რომას“ ახალმა მწვრთნელმა, ლუიჯი დელ ნერიმ განაცხადა, ტოტი თხემით ტერფამდე რომაელია, აქაურობას ეკუთვნის და ამიტომ არასდროს გადავა სხვა გუნდშიო, მაგრამ ფეხბურთელმა მწვრთნელის შემოთავაზებულ თემას ასეთი კომენტარი მოაყოლა:

„ქომაგებს სურთ, რომ „რომადან“ არასდროს წავიდე, მაგრამ იმავდროულად დგანან და დღენიადაგ ჩემთვის შეურაცხყოფის მოყენებით არიან დაკავებულნი. ამას აკეთებენ სტადიონზე და ქუჩაში. მათთვის კაპიტანი მხოლოდ მაშინ ვარ, როდესაც გუნდს კარგად მისდის საქმე, სხვა შემთხვევაში კი პლეიბოის და ხელფასზე მოვაჭრე, ანგარებიან კაცს მეძახიან“.

დღეს მადრიდის „რეალი“ ტოტისთვის მართლაც ყველაზე რეალურ პერსპექტივად მოჩანს. მაგრამ თავად ფეხბურთელი სხვა გუნდებისთვისაც ღიად სტოვებს კარს.

„წინადადებები და შემოთავაზებები იტალიიდანაც მომდის და უცხოეთის გუნდებიდანაც. ერთი ცხადია, „იუვენტუსსა“ და „ლაციოში“ არასდროს გადავალ და საერთოდაც, ყოველთვის ვამჯობინებ სადმე სერია A-ს გარეთ გავაგრძელო თამაში. გარდა ამისა, თუ „რომადან“ წავალ, ეს არ იქნება შუაღამის გაქცევა, მოულოდნელი ამბავი. მე ქომაგებს ყველაფერს ავუხსნი და დედაქალაქიდან სრულიად [illegible]“.

ალბათ, მიხვდით, რომ ნათქვამი — „შუაღამის გაქცევა — „რომადან“ „იუვენტუსში“ რომაელთა ყოფილი და იუვენტუსელთა დღევანდელი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ბოსტანში აგდებს ძალიან დიდ ქვას. როგორც ჩანს, სკუდეტომოშიებულ ტოტის არასდროს დაავიწყდება საქვეყნოდ ცნობილი ტაქტიკოსის ეს გადაბარგება, რომელიც „რომას“ კაპიტნისთვის ღალატის ტოლფასი გამოდგა.

„ზაფხულის გარესაქვეყნო ტურნე კაპელოს ბოლო საჩუქარი გახლდათ — მწარედ ჩაილაპარაკა ტოტიმ — ეს იყო მისი მხრიდან გიჟური გადაწყვეტილება, მით უფრო იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ფეხბურთელების დიდი ჯგუფი ოლიმპიადაზე მიდიოდა. ვფიქრობ, ყველაფერი კაპელომ „რომას“ დასანგრევად ჩაიფიქრა. ის კი არა, კაპელოს ფილიპ მექსეშის ტურინში წაყვანაც სურდა. რომიდან გაქცევის წინა დღეს ის ამტკიცებდა, რომ მექსეში „იუვენტუსში“ გადადიოდა. ტყუილია, რომ ამბობენ, თითქოს კაპელომ 24 საათში მიიღო გადაწყვეტილება. მან ყველაფერი დიდი ხნით ადრე იცოდა. ის ალბათ ჯერ „ინტერს“ ელაპარაკა, მერე „იუვენტუსს“ და ასე გადაწყვიტა თავისი მომავლის ბედი. აი, ინებეთ, ეს არის მაგ „კაცის ნამდვილი სახე“.

**პაპუნა ძედია**



*შაბათს „მესინასა“ და „ატალანტას“ შეხვედრა დიდი წვიმის გამო 23-ე წუთზე შეწყდა. თამაშს მესინელები იგებდნენ (1:0) და ამიტომ მისი შეწყვეტით, ბუნებრივია, უკმაყოფილონი დარჩნენ.*

# ვისთვის გაწვიმდა მესინაში?

„მსაჯ მორგანტის ქცევას გამართლება კი არა, სახელიც კი არ აქვს — განაცხადა სიცილიელთა პრეზიდენტმა პიეტრო ფრანცამ — ბურთი მოედანზე დახტოდა. ჩვენ ბოლოს, მეორე დღეს გაგრძელება ვისურვეთ, მაგრამ ბერგამოელებმა უარი თქვეს“.

თავიდან შეხვედრა ცოტა გვიან დაიწყო, რადგან მსაჯები გულდაგულ ამოწმებდნენ მინდორს. შემდეგ თამაში გახურდა, მაგრამ გახურდა წვიმაც და არბიტრი იძულებული შეიქნა კიდევ ერთი ტესტი ჩაეტარებინა. ამ ტესტმა უკვე მატჩის შეწყვეტისკენ უბიძგა მორგანტის.

„რასაკვირველია, განრისხებული ვარ, რადგან ვიგებდით და იმის გამო, რომ თამაში შეწყვიტეს, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ — განაგრძო ფრანცამ — ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის გახლავთ, რომ მატჩი ხელახლა შობის შემდეგ გაიმართება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მანამდე „ატალანტა“ ახალ ფეხბურთელებს იყიდის და უბრალოდ სხვა გუნდით წარდგება ჩვენს წინაშე“.

„მესინას“ სპორტული დირექტორი მარიანო ფაბიანი: „თამაშის შეწყვეტის მომენტში მოედანი სულაც არ იყო იმაზე უარესი, ვიდრე დაწყებისას. თუ მატჩის ჩატარება არ უნდოდათ, საერთოდ არ უნდა დაეწყოთ“.

„ატალანტას“ გენერალურმა დირექტორმა, რობერტო ძანძიმ კი მატჩის გადადების გამო კმაყოფილების დამალვა არ იკადრა:

„რა თქმა უნდა, მატჩის გადადებამ დიდი შვება მოგვცა. უნდა ვაღიაროთ, რომ „მესინას“ ადრეული გოლისთვის მზად არ ვიყავით და ამ გოლმა გვარიანად დაგვაბნია. ერთი სიტყვით, ახლა ამოვისუნთქებთ კიდეც და ის მზად არ ვიყავით და ის გაშვებული გოლიც აღარ ჩაგვეთვლება“.

ბერგამოელთა მწვრთნელი დელიო როსი: „მატჩის შეწყვეტამ გვიშველა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოედანი საძაგელი იყო. ფეხბურთელები დიდ გუბეებში დარბოდნენ და დაშავებით რისკავდნენ. როგორც პროფესიონალებს, რა თქმა უნდა, „მესინასთან“ ჩვეულებრივ გრუნტზე გვირჩევნია თამაში“.

**პაპუნა ძედია**

# კი: ეტყვის კივუ მილანს

*კრისტიან კივუს აგენტმა აღიარა, რომ მისი კლიენტი „მილანში“ გადასვლაზე უარს ვერ იტყვის. „დიახ, ასეთ დიდ კლუბს კრისტიანი უარს ვერაფრით ეტყვის“ — თქვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ჯიკა პოპესკუმ, რითაც გააძლიერა ეჭვი, რომ „შავ-წითლები“ პაოლო მალდინის შემცვლელს ეძებენ*



**ამ თვალსაზრისით** კივუ ზედგამოჭრილი კანდიდატურაა, იგი ძალიან ჰგავს 36 წლის იტალიელს იმით, რომ მის მსგავსად მარცხენა ფრთაზეც შეუძლია თამაში და ცენტრშიც. გავრცელებულ ხმათა თანახმად, კივუს ყურადღება წარსულში დიდებულმა მცველმა, დღეს ახალგაზრდული „მილანის“ მწვრთნელმა ფრანკო ბარეზიმ მიაქცია.

პოპესკუ: „თუ ისეთი დიდი ფეხბურთელი, როგორც ფრანკო ბარეზია, მიიჩნევს, რომ კივუ და ალესანდრო ნესტა დიდებულ წყვილს შეადგენენ, მე ვერაფერს დავამატებ. სხვა საქმეა, რომ ამ წუთისთვის ოფიციალური წინადადება არ გვაქვს, კრისტიანი რომშია და თავსაც ბედნიერად გრძნობს. კივუს მიაჩნია, რომ „რომა“ დიადი გუნდია და უმაღლესი დონისკენ სწრაფვის დასაკმაყოფილებლად სხვაგან გადასვლა აღარ სჭირდება“.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის კივუს ადრე „იუვენტუსში“ გადასვლას უქადდნენ, რადგან „იუვენტუსის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელოა, რომლის „რომაში“ მუშაობის პერიოდშიც რუმინელი ფეხბურთელი ჩინებულად თამაშობდა.

**პაპუნა ძედია**

რეკლამა სარბიელ–ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# FIFA WORLD PLAYER 2004



REUTERS ცოურნიბიდან

# მსოფლიოს რონალდინიოს რონალდინიოსავით გაუღიმა

მაღალი საზოგადოების ქრონიკებში გუშინდელი გალას თაობაზე ალბათ ასე დაიწერებოდა: ციურიხის ოპერაში ლიმუზინებით მობრძანდნენ ბატონი და ქალბატონი შევჩენკოები. ქალბატონ შევჩენკოს, ქალიშვილობაში პაზიკს, სულაც არ ეტყობოდა ამასწინდელი მშობიარობის კვალი. შევჩენკოებს ფეხდაფეხ, უკაცრავად, ლიმუზინ-ლიმუზინ მიჰყვნენ ტიერი ანრი და რონალდინიო უმეუღლეებოდ. აქვე იყვნენ იყვნენ გალას სხვა მონაწილენიც: მია ჰემი, რომელსაც კაბა ვერ უმალავდა ფეხბურთელის ფეხებს; მარტა, რომელიც უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა თავის 18 წელთან შედარებით და ბირგიტ პრინცი, ვინაც თავისი ზორბა იერით შიშის ზარს დასცემდა ვისაც გნებავთ.

საღამოს წაყვანა კი დაევალა კენი დალგლიშის ქალიშვილ კერის, რომელიც გამოწყობილიყო ურცხვ დეკოლტიან კაბაში და დამსწრე მამაკაცებს აფიქრებინებდა, ნეტავ მის მიღმა რა იმალებაო. სხვა მხრივ კი, მის დალგლიშს და მის მეწყვილე იან რაიტს გალა ხეირიანად მიჰყავდათ. ერთი ეგაა, რომ საფეხბურთო ამბებში მეტისმეტად გრძლად მოჩანდა საოპერო ნომრები.

დიახ, მაღალი საზოგადოების ქრონიკებში გუშინდელ საფიფაო ამბებზე სწორედ ამგვარად, ან დაახლოებით ამგვარად დაიწერებოდა, მაგრამ სპორტულ გაზეთში სხვაგვარად დაწერაა უპრიანი. თუნდაც ასე: გუშინ ფიფამ ციურიხის ოპერაში გამართულ გალა-წარმოდგენაზე წლის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებმა და კაპიტნებმა საუკეთესოობა „ბარსელონას“ ბრაზილიელ რონალდინიოს არგუნეს, ვინაც ამას წინათ „უორლდ სოკერის“ ვერსიითაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მეორე ადგილი „მეთოფე“ ფრანგ ტიერი ანრის ერგო, რომელიც ამგვარ გამოკითხვებში მარად მეორეა, მესამე კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო დასახელდა.

## 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას ვერსია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია | 89(445) | 47(141) | 34(34) | 620 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 79(395) | 42(126) | 31(31) | 552 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 34(170) | 19(57) | 26(26) | 253 |
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი | ჩეხეთი | 12(60) | 33(99) | 19(19) | 178 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 17(85) | 15(45) | 20(20) | 150 |
| ადრიანო | ინტერი | იტალია | 8(40) | 15(45) | 13(13) | 98 |
| დეკო | ბარსელონა | პორტუგალია | 6(30) | 18(54) | 12(12) | 96 |
| რონალდო | რეალი | ბრაზილია | 6(30) | 17(51) | 15(15) | 96 |
| რუუდ ვან ნისტელროოი | მანჩესტერი | ჰოლანდია | 5(25) | 10(30) | 12(12) | 67 |
| კაკა | მილანი | ბრაზილია | 4(20) | 11(33) | 11(11) | 64 |
| უეინ რუნი | მანჩესტერი | ინგლისი | 2(10) | 12(36) | 18(18) | 64 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | კოტ დივუარი | 5(25) | 5(15) | 6(6) | 46 |
| კრისტიანო რონალდო | მანჩ. | პორტუგალია | 5(25) | 3(9) | 11(11) | 45 |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი | 2(10) | 6(18) | 14(14) | 42 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 0(0) | 10(30) | 5(5) | 35 |
| დევიდ ბექემი | რეალი | ინგლისი | 4(20) | 4(12) | 3(3) | 35 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 2(10) | 6(18) | 5(5) | 33 |
| ზაგორაკისი | ბოლონია | საბერძნეთი | 3(15) | 2(6) | 4(4) | 25 |
| რობერტო აიალა | ვალენსია | არგენტინა | 3(15) | 2(6) | 3(3) | 24 |
| მაიკლ ოუენი | რეალი | ინგლისი | 2(10) | 4(12) | 0(0) | 22 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 2(10) | 2(6) | 3(3) | 19 |
| პაოლო მალდინი | მილანი | იტალია | 2(10) | 1(3) | 6(6) | 19 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | იტალია | 1(5) | 4(12) | 2(2) | 19 |
| როი მაკაი | ბაიერნი | ჰოლანდია | 1(5) | 4(12) | 0(0) | 17 |
| რობერ პირესი | არსენალი | საფრანგეთი | 2(10) | 1(3) | 2(2) | 15 |
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | ინგლისი | 2(10) | 0(0) | 3(3) | 13 |
| კაფუ | მილანი | ბრაზილია | 2(10) | 0(0) | 0(0) | 10 |
| მიხაელ ბალაკი | ბაიერნი | გერმანია | 0(0) | 2(6) | 3(3) | 9 |
| მილან ბაროში | ლივერპული | ჩეხეთი | 0(0) | 2(6) | 3(3) | 9 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | იუვე | შვედეთი | 0(0) | 1(3) | 4(4) | 7 |
| ჰენრიკ ლარსონი | ბარსელონა | შვედეთი | 1(5) | 0(0) | 2(2) | 7 |
| რაიან გიგზი | მანჩესტერი | უელსი | 1(5) | 0(0) | 1(1) | 6 |
| ალესანდრო ნესტა | მილანი | იტალია | 0(0) | 0(0) | 6(6) | 6 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი | 0(0) | 1(3) | 2(2) | 5 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 0(0) | 1(3) | 1(1) | 4 |

*გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ეროვნულ ნაკრებთა 156 მწვრთნელმა და 144 კაპიტანმა*

*I ადგილი – 5 ქულა, II ადგილი – 3 ქულა, III ადგილი 1 – ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# FIFA WORLD PLAYER 2004



**წლეულს** პირველად მოხდა, რომ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მოწყობილ გამოკითხვაში ეროვნულ ნაკრებთა კაპიტნებმაც მიიღეს მონაწილეობა — მოგეხსენებათ, აქამდე ეს გამოკითხვა მხოლოდ მწვრთნელებისა იყო. ნომინაციათა შორის მთავარში ქულები ასე განაწილდა: რონალდინიო — 620, ტიერი ანრი — 552 და ანდრეი შევჩენკო — 253. სხვა ფეხბურთელები, რომლებიც გამოკითხულებმა დაასახელეს და რომელთა შორის უცნაურ ხალხსაც წააწყდებით, ამ სამეულს ბლომად ქულებით ჩამორჩა.

მაშასადამე, რონალდინიო, რომელმაც მთავარი ჯილდოს მიღებისას სამადლობელ სიტყვაში თქვა: „საუკეთესოდ რომც არ დავესახელებინეთ, უკვე ის ფაქტი, რომ ამ სცენაზე ვდგევარ, ჩემთვის უდიდესი პატივია.“

ცხადია, რომ რონალდინიოსთვის სულაც არ იყო სულ ერთი, საუკეთესოდ აირჩევდნენ თუ მესამე ადგილზე გავიდოდა, მაგრამ ამგვარ სიტუაციებში სათქმელ სამადლობელ სიტყვებს თავისი ტრაფარეტი გააჩნიათ და რა გასაკვირია, რომ რონალდინიოც ამ ტრაფარეტს დაემორჩილა. მერე ახალმა საუკეთესომ თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ „ბარსელონაში“ ვთამაშობ. მსურს, ამ კლუბის ახალი ოქროს ხანის ერთ-ერთი შემოქმედი ვიყო და სხვა კლუბში გადასვლის არანაირი სურვილიც არ მაქვს.“

თავში ქულები ვახსენეთ და განვმარტოთ: გამოკითხულები სამ ფეხბურთელს ასახელებდნენ, რომელთაგან პირველი ხუთ ქულას იღებდა, მეორე სამს, მესამე კი ერთს. რონალდინიო პირველ ნომრად 89 გამოკითხულმა დაასახელა, ანრი — 79-მა, უკრაინელი კი ოცდათოთხმეტმა.

უიღბლო ტიერი ანრი აგერ ზედიზედ მეორე წელია, მეორეობას სჯერდება. შარშან მას თანამემამულე ზინედინ ზიდანმა აჯობა, ვინაც წლევანდელ გამოკითხვაში მეოთხე იყო. მეხუთე ადგილი ევროპის შარშანდელ საუკეთესო ფეხბურთელს ჩეხ პაველ ნედვედს დარჩა.

ისე კი, ცოტა უცნაურია — რონალდინიოს წლეულს არაფერი მოუგია. მას საერთოდ არ უთამაშია ზაფხულში გამართულ კოპა ამერიკაზეც, რომელიც მისმა ბრაზილიამ მოიგო.

ბრაზილია ვახსენეთ და, რონალდინიო მეოთხე ბრაზილიელია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. პირველი რომარიო იყო 1994 წელს, რონალდომ სამჯერ — 1996, 97 და 2002 წლებში იმარჯვა, რივალდო კი 1999 წლის ფავორიტი გახლდათ. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ეს გამოკითხვა წლეულს მხოლოდ მეცამეტედ ჩატარდა, მაშში ბრაზილიელთა ექვსჯერ ზეობა მრავლისმიმანიშნებელი ფაქტი უნდა იყოს.

და ერთი მეტად უცნაური დამთხვევა თუ კანონზომიერება: ოთხივე ბრაზილიელმა მსოფლიოში საუკეთესოს სახელი „ბარსელონაში“ თამაშისას მოიპოვა. რონალდო მეორე და მესამედ გამარჯვებებისას „ინტერის“ და „რეალის“ წევრი იყო, მაგრამ პირველად ბარსელონელობისას აღიარეს საუკეთესოდ.

ზემოთ როგორც ფაქტი ისე აღვნიშნეთ, რომ წელს რონალდინიოს არაფერი მოუგია, მაგრამ ამით მისი საუკეთესოობის დაკნინება სულაც არ გვსურს.

„მას შეუძლია თამაში მოგვაგებინოს — ამბობს „ბარსას“ კაპიტანი კარლეს პუიოლი — ამასთანავე, მას შეუძლია მოედანზე გასვლამდე გუნდს საბრძოლო განწყობა შეუქმნას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თანაც, ის მუდამ კარგ ხასიათზეა და თითოეულ ჩვენთაგანისთვის მისი კარგი ხასიათი გადამდებია.“

პუიოლის ნათქვამს კი შეგვიძლია დავუმატოთ, რომ თუკი ერთხელ მაინც გაქვთ რონალდინიოს თამაში ნანახი, დარწმუნდებოდით, რომ მას მოედნის შესაშური ხედვა, უზუსტესი პასი და ბურთით ჟონგლიორობის საოცარი უნარიც აქვს.

საერთოდ კი, რონალდინიოს კარიერაზე უამრავი რამის მოყოლა შეიძლება. მასზე ბევრი რამ დაგვიწერია და ვეცდებით, არ გავმეორდეთ. აქ მხოლოდ ერთი შტრიხი გავიხსენოთ: რონალდინიო გაიზარდა ოჯახში, სადაც ფეხბურთს აღმერთებდნენ. მისი უფროსი ძმა რობერტი „გრემიოს“ ფანების ერთ-ერთი კერპია. მამა კი მაშინ გარდაიცვალა, როცა რონალდინიო რვა წლისა იყო.

აქამდე სულ რონალდინიოსა და კაცთა ფეხბურთზე ვლაპარაკობდით და არ იქნება, ქალებსაც არ გადავწვდეთ. ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი გერმანელი ბირგიტ პრინცი გახდა. მისთვის ეს ზედიზედ მეორე ტიტულია. მეორე ადგილზე ქალ ფეხბურთელთა შორის უცნობილესი და მსგავს ღონისძიებათა უცვლელი მონაწილე ამერიკელი მია ჰემი გავიდა, მესამე ადგილი კი ბრაზილიური ფეხბურთის ახალ სახეს, მარტას ერგო.

ფუტზალისნებში საუკეთესო ფალკაო გახდა, რომელსაც ეს სახელი იმ დიდი ფალკაოს პატივსაცემად ჰქვია. ისე კი, დაჯილდოებისას დიდ ეკრანზე ამ ფალკაოს თამაშის ჰაილაითები რომ ანახეს, მონაგონია რონალდინიო, ეს ისეთ ფინტებს აკეთებდა.

ფეირ პლეის პრიზი ბრაზილიის ნაკრებს ერგო, ფიფას პრეზიდენტის სპეციალური პრიზი კი ჰაიტელებმა მიიღეს თავიანთ ქვეყანაში ბრაზილიის ნაკრების ჩაყვანისთვის და ბედკრული ჰაიტელებისთვის ცხოვრების თუნდაც ერთი დღით გახალისებისთვის.

სცენაზე ასვლის პატივი ერგო კომპიუტერულ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონს, მავან ლიპიან ბრაზილიელსაც, რომლის ვინაობის დასახელებაც ჩვენ არაფერს მოგვცემს.

**ირაკლი ნინიძე**




საუკეთესო ქალები: მარტა, ბირგიტ პრინცი და მია ჰემი

## ფიფას ყველა ლაურეატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გერმანია |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | რომარიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | რონალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 2001 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2002 | რონალდო | რეალი | ბრაზილია |
| 2003 | ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი |
| 2004 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |


ჯეიმს ბიტი


გორდონ სტრაჩანი

*ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას „ნიუკასლი" თავისი თავდასხმის მოძლიერებას ლამობს: სურს „საუთჰემპტონიდან" გადაიბიროს მთავარმეგოლე ჯეიმს ბიტი*

# ბიტის ჩრდილოეთის ბილეთი და ათი წუთის სავალი

**მენეჯერი** გრემ სუნესი ლორენ რობერსა და კიდევ ხუთ მილიონ გირვანქას სთავაზობს სამხრეთელებს. თუმცა, მარტო სუნესი არ ანთებულა ამ სურვილით, ბიტის „ევერტონი" და „ასტონ ვილაც" უმიზნებენ.

„საუთჰემპტონის" მენეჯერმა ჰარი რედნაპმა თქვა: „სულაც არ მინდა ბიტის წასვლა. მის გარშემო გუნდს ავაშენებდი, მაგრამ თუ ამ ფულით ორ სხვა ფეხბურთელს ვიყიდი, ჯეიმსს შეველევი".

ჰარი რედნაპის ძველი კლუბი, „პორტსმუთი" კი კვლავ ელის მენეჯერს. კლუბის თავმჯდომარე მილან მანდარიჩი ფიქრობდა, რომ გორდონ სტრაჩანს დაიყაბულებდა, მაგრამ გუშინ პატარა სქოთმა მეტად გულიანი რამ თქვა: „ეს ზღაპრული სამსახურია ყველასთვის, გარდა იმ კაცისა, ვინც „საუთჰემპტონის" მენეჯერი ყოფილა".

ზღვისპირა მეზობლებს, „საუთჰემპტონსა" და „პორტსმუთს" ძველი საფეხბურთო მტრობა აქვთ, სამხრეთ ნაპირის დერბი კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე თამაშია ინგლისში.

ამას წინათ, ჰარი რედნაპმა ეს მტრობა არად ჩააგდო და „პორტსმუთიდან" პირდაპირ „საუთჰემპტონის" საჭესთან გადაინაცვლა.

სტრაჩანი კი სხვაგვარად ფიქრობს: „მე ბევრი მოგონება მაქვს, სულაც არ მინდა ისინი რამემ გააფერმკრთალოს. სხვაფრივ კი ამ ქალაქებს 10-წუთიანი სავალი გზა ჰყოფს და პორტსმუთში მშვენიერი ფეხბურთელები არიან. ოღონდ, ჩემთვის ეს არ არსებობს".

მას შემდეგ, რაც რედნაპმა „პორტსმუთი" მიატოვა, იქ მენეჯერი არ არის. საქმეებს დირექტორი ველიმირ ზაიჩი და მწვრთნელი ჯოი ჯორდანი უძღვებიან. მათ დაუმარცხებლად განვლეს 5 მატჩი და პირველად ამ კვირას წააგეს „არსენალთან".

სტრაჩანმა კი თებერვალში დატოვა „საუთჰემპტონი" ფეხის ოპერაციის მიზეზით და მაშინვე გამოაცხადა, რომ ერთ სეზონს დაისვენებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კანტონა ცოცხლად დედის გინებით

*კვირას მანჩესტერში კვლავ გამოჩნდა ერიკ კანტონა. „იუნაიტედის" ლეგენდამ პირდაპირ ეთერში, საუკეთესო დროს უპასუხა ფანების შეკითხვებს და სკანდალიც გამოიწვია: დედის გინება არ დაიზარა*



**გადაცემა** „ემიუტივიზე", კლუბის არხზე მიმდინარეობდა და შეკითხვაზე, სცემთ თუ არა პატივს ადამიანებს, კანტომ მიუგო: „რა თქმა უნდა, ყველას. პრობლემა იქედან იწყება, რომ მე არ მცემენ ხოლმე პატივს. მაგრამ თუ ჩემი და ჩემი საქმის მნიშვნელობა შეგნებული მაქვს, რომ მითხრან, შენი დედა მოვ...ნო, არ ვუპასუხებ. იმიტომ, რომ ჩემს განსაკუთრებას ვგრძნობ."

ცხადია, გინება ეთერში გავიდა, რაც ბრიტანული კანონებით აკრძალულია. მაგრამ პირდაპირ ეთერს რას მოუხერხებ? გინება მხოლოდ განმეორებითი ჩვენებიდან გააქრეს.

ამ კვირას კანტონა მანჩესტერში იყო და „ოლდ ტრეფორდზე" „კრისტალ პალასთან" თამაშს უყურა. 9 წლის წინ, „სოლჰერსტ პარკზე" სწორედ „პალასის" ფანი გალახა ერიკმა, მას შემდეგ რაც იმან ფრანგი ღორი უწოდა.

ტელეგადაცემაში კანტომ ეს ამბავიც გაიხსენა და თქვა, რომ ფეხბურთის ასოციაცია მაშინ ცუდად მოექცა: „დარბაზშიც კი, ვარჯიშისას, „მანჩესტერის" სამოსის ჩაცმის უფლება არ მქონდა. დისკვალიფიკაცია მკაცრი იყო. მე იმდენად მიყვარს ეს თამაში, რომ ჩინოვნიკებს ვერ ვეგუები. ეგენი ვინ არიან? რას აკეთებენ, როცა ტოლებთან მარტონი რჩებიან? სიყვარულობენ და სიამოვნებას იღებენ? მეეჭვება, აი, ასეთი ხალხია. მაშინ ასე მითხრეს: საკუთარ ეზოშიც ვერ ითამაშებ ფეხბურთს „მანჩესტერის" სამოსითო და ეს უდიადესი მომენტი იყო მათ ცხოვრებაში — კანტონას ეუბნებოდნენ."

კანტომ „მანჩესტერის" ბიზნეს-პოლიტიკაც გააკრიტიკა, ნამეტანი მოსდით სავაჭრო ნიშნის გამოყენებაო: „ჩემი მართვა უნდოდათ. მე კი ჩემი იმიჯი მაქვს. თუ ეს სამოსი გაცვია, ასეთი იერი გიჯობსო. ვისი რა საქმეა?"

ბოლოს კი ერიკმა ამერიკელი მილიარდერი გლეიზერიც შეახურა: „ამ კლუბში მთავარი მისი იერი, მისი ფილოსოფიაა. ერთი კაცის ხელში ყველაფერს დავკარგავთ. ამ ტიპის ადამიანები „იუნაიტედის" სულს ჩაკლავენ."

**ირაკლი გამყრელიძე**



# სანტოსი, ისევ სანტოსი!

## დედადაბრუნებულმა რობინიომაც ითამაშ-იჩემპიონა

*„სანტოსი"... სწორედ ის გახდა ბრაზილიის ჩემპიონი კვირა საღამოს — მეორედ სამ წელიწადში. ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო, 46-ე ტურში ვანდერლეი ლუშემბურგოს თავკაცობით „სანტოსმა" 2:1 მოუგო „ვასკუ და გამას", რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მადევარნი ვერ დაწეოდნენ*

**ბრაზილია**

**სერია A. XLVI ტური**

სანტოსი — ვასკუ და გამა 2:1; ატლ. პარანენსე — ბოტაფოგო 1:1; კორინთიანსი — ფიგეირენსე 5:2; კრისიუმა — კურიტიბა 3:3; ფლამენგო — კრუზეირო 6:2; ფლუმინენსე — პალმეირასი 1:1; გოიასი — სან პაულუ 2:0; გუარანი — გრემიო 2:0; ინტერნასიონალი — პარანა 2:1; ჟუვენტუდე — პაისანდუ 1:2; ატლ. მინეირო — სან კაეტანო 3:0; ვიტორია — პონტე პრეტა 1:2

კამპეონთა რიგებში იყო რობინიოც, ვისაც 40 დღე იყო, არ ეთამაშა დედის გატაცების გამო და ახლა, რაც დონია მარინა შინ დაბრუნდა, ბიჭიც გამოვიდა მინდორზე. ლუშემბურგოსთვის კი ეს ზედიზედ მეორე ტიტულია, შარშან „კრუზეიროს" გაჩემპიონების შემდეგ. მანამდე მან ეროვნული ტიტული „პოლმეირასთან" და „კორინთიანსთან" ერთად მოიგო.

ბოლო ტურის წინ „სანტოსი" ქულით უსწრებდა „ატლეტიკო პარანენსეს", რომელმაც ლიდერობა ბოლოსწინა ტურში დაკარგა.

რობინიო, რომელიც ამდენ ხანს არ თამაშობდა, მაინც გუნდის მთავარმეგოლე შეიქნა 21 გოლით, ოღონდ დეივიდთან ერთად. საჩემპიონო თამაში კი „სანტოსმა" მშობლიურ „ვილა ბელმირაზე" ვერ ითამაშა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო და საო ჟოზე დუ რიუ პრეტუში უმასპინძლა „ვასკუს". ამ ბოლო თამაშში ანგარიში მსოფლიოს ჩემპიონმა რიკარდინიომ გახსნა საჯარიმო დარტყმით, ამას კი ელანომ მიაყოლა მეორე. „ვასკუმ" ერთი გოლიღა გაქვითა მარკობრიტოს მეშვეობით.

„სანტოსმა" 89 ქულა მოაგროვა და სამი ქულით გადაუსწრო „ატლეტიკო პარანენსეს", რომელმაც 1:1 ითამაშა გასავარდნად განაზირებულ „ბოტაფოგოსთან". ამ ფრემ „ბოტა" გადაარჩინა და სერია A-ში დატოვა. გადარჩა „ფლამენგოც", რომელმაც „კრაუზეიროს" 6:2 მოუგო და გადარჩა „ატლეტიკო მინეიროც", რომელმაც „სან კაეტანო" დასცა 3:0. ბრაზილიის ეს ორი ყველაზე პოპულარული კლუბი გაისადაც უმაღლეს ლიგაში იქნება.

მთავარი ზეიმი კი მაინც სანტოსში იყო. ეს კია, რომ ლუშემბურგოს გვარიანი ჯაფა მოუწევს საჩემპიონო შემადგენლობის თუნდაც ნახევრის შესანარჩუნებლად.

**ირაკლი გამყრელიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 46 | 27 | 8 | 11 | 103:58 | 89 |
| ატლ. პარანენსე | 46 | 25 | 11 | 10 | 93:56 | 86 |
| სან პაულუ | 46 | 24 | 10 | 12 | 78:43 | 82 |
| პალმეირასი | 46 | 22 | 13 | 11 | 72:47 | 79 |
| კორინთიანსი | 46 | 20 | 14 | 12 | 54:54 | 74 |
| გოიასი | 46 | 21 | 9 | 16 | 81:68 | 70 |
| ჟუვენტუდე | 46 | 20 | 10 | 16 | 60:66 | 70 |
| ინტერნასიონალი | 46 | 20 | 7 | 19 | 66:59 | 67 |
| ფლუმინენსე | 46 | 18 | 13 | 15 | 65:68 | 67 |
| პონტე პრეტა | 46 | 19 | 7 | 20 | 43:73 | 64 |
| ფიგეირენსე | 46 | 17 | 12 | 17 | 57:59 | 63 |
| კურიტიბა | 46 | 15 | 17 | 14 | 53:48 | 62 |
| კრუზეირო | 46 | 16 | 8 | 22 | 69:81 | 56 |
| პაისანდუ | 46 | 14 | 14 | 18 | 56:76 | 56 |
| ფლამენგო | 46 | 13 | 15 | 18 | 51:53 | 54 |
| ვასკუ და გამა | 46 | 14 | 12 | 20 | 64:68 | 54 |
| პარანა | 46 | 15 | 9 | 22 | 52:73 | 54 |
| სან კაეტანო | 46 | 23 | 8 | 15 | 65:49 | 53 |
| ატლ. მინეირო | 46 | 12 | 17 | 17 | 60:66 | 53 |
| ბოტაფოგო | 46 | 11 | 18 | 17 | 62:71 | 51 |
| კრისიუმა | 46 | 13 | 11 | 22 | 61:78 | 50 |
| გუარანი | 46 | 11 | 16 | 19 | 43:55 | 49 |
| ვიტორია | 46 | 13 | 9 | 24 | 68:87 | 48 |
| გრემიო | 46 | 9 | 12 | 25 | 59:80 | 39 |

„სან კაეტანოს" დაკლებული აქვს 24 ქულა


„სანტოსის" საჩემპიონო გოლი ელანომ გაიტანა

# საკის ჰოც და არაც

*მადრიდის „რეალთან“ დაკავშირებით ჯერ ვერაფერს გეტყვით — უთხრა არიგო საკიმ სატელეფონო საუბრისას ესპანურ AS-ს, რომელიც იტალიელის ესპანეთში სავარაუდო გადასვლით დაინტერესდა*



„პარმას“ ახლანდელი სპორტული დირექტორი ესპანეთში დაბრუნების ამბავს გადაჭრით არც უარყოფს და არც ადასტურებს: „ჯერჯერობით დაცდას ვამჯობინებ. ვნახოთ, მოლაპარაკებები როგორ წარიმართება. ვიმუშავებ თუ არა „რეალში“, ამის თქმა დღეს არ შემიძლია. იმაზე, რაც ჯერ არ მომხდარა, ვერაფერს გეტყვით“.

საკისთან სატელეფონო ბაასი საკმაოდ მოკლე გამოდგა. ჟურნალისტმა იმის დაზუსტება კი შეძლოს, რომ იტალიელისთვის მთავარი კონტრაქტის ეკონომიკური მხარე კი არა, „რეალში“ მისი უფლებამოსილების გარკვევაა. არიგო მადრიდელებთან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გავლენის სფეროს საკითხს მოაგვარებს და კასტილიური გრანდის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ფულზე შემდეგ მოელაპარაკება.

ჩვენ კი გეტყვით, რომ პერესმა საკის კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობა შესთავაზა, თუმც იმასაც ამბობენ, არ არის გამორიცხული, სეზონის დასრულების მერე იტალიელი მარიანო გარსია რემონის სკამზე გადაჯდესო.

**ლადო ხომერიკი**

# ბარსას ტაკინარდიზე ხელი არ აუღია

*„ბარსელონას“ „იუვენტუსისგან“ ალესიო ტაკინარდის გადაბირებაზე ხელი ჯერ არ აუღია. მოახლოვდა საახალწლო სატრანსფერო ბაზრობა და კატალონიელები კონკრეტული გეგმებით და იმედებით ემზადებიან მის შესახვედრად*

„ტაკინარდის ყიდვის იდეა ჯერ არ ამოგვიგდია თავიდან — ბრძანა „ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ — ვიცით, რომ ფეხბურთელს რეგულარულად თამაში სურს, „იუვენტუსში“ კი ამას ვერ ახერხებს. მეორე მხრივ, ჩვენი მწვრთნელი, ფრანკ რაიკარდი არ მაჩქარებს და არც იმას მაიძულებს, რომ გინდა თუ არა ახალი ფეხბურთელები ვიყიდო. ის ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია იმ გუნდით, რომელიც დღეს ჰყავს“.

შეგახსენებთ, რომ ტურინელების წინა მწვრთნელის, მარჩელო ლიპის საყვარელი ნახევარმცველი ტაკინარდი მართლაც ვერ თამაშობს ახალი შეფის, ფაბიო კაპელოს მოსვლის შემდეგ. კაპელოს იგი მეოთხე კაცად ჰყავს ემერსონის, მანუელე ბლაზის და სტეფან აპიას შემდეგ. არადა, ტაკინარდიმ წინა სეზონში „ბებერ ქალბატონს“ კონტრაქტი გაუგრძელა. ეტყობა, მას არ სურდა „იუვენტუსთან“ უკვე ათწლიანი ურთიერთობის გაწყვეტა.




„ბარსელონას“ კი „ატალანტას“ ყოფილი ფეხბურთელი ტრავმების კრიზისმა დააჭირვა. „კამპ ნოუ ხე“, ფაქტობრივად, ყველა ნახევარმცველი დაშავებულია, ამიტომაც გუნდმა ახალი ფეხბურთელის ძებნა დაიწყო. თავიდან „რომასგან“ ოლივიე დაკურის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ თანდათან გეგმა შეიცვალა და კატალონიელებმა თავიანთ კარგ პარტნიორს, „იუვენტუსს“ მიაშურეს თანამშრომლობისთვის. შეგახსენებთ, რომ შარშან ამ დროს ამ კლუბებმა ზუსტად იმავე შინაარსის ოპერაცია გაჩარხეს — ტურინელებმა „ბარსას“ ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი მიაქირავეს.

**პაპუნა ძედია**



# ჩვენ ყველაფერს მოვიგებთ!

## მაურინიუ ევროპას ჩელსით აშინებს

**„ჩელსის“** პორტუგალიელ მწვრთნელს, ჟოზე მაურინიუს თავისი გუნდის ბოლოჟამინდელმა გამარჯვებებმა ლაპარაკის სალაღლელი აუშალა. შაბათს პრემიერლიგის დებიუტანტ „ნორვიჩის“ 4:0 განადგურების შემდეგ მაურინიომ დაიქადნა, თუ ჩემი ფეხბურთელები ასე გააგრძელებენ თამაშს, ამ სეზონში ყველა დიდ ჯილდოს „სტემფორდ ბრიჯზე“ დავაბინავებთო. „გუნდმა შეიძლება რომელიღაც ცალკეული მატჩი ჩააგდოს, მაგრამ თუ ბიჭებმა ტაქტიკურად, ფიზიკურად და მენტალურად ასეთ დონეზე გააგრძელეს თამაში, მსოფლიოში არ მეგულება გუნდი, რომელიც ჩვენს შეჩერებას მოახერხებს. ნებისიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“ — თავდაჯერებულად განუცხადა სეუ ჟოზემ ინგლისურ პრესას.

მაურინიუ დარწმუნებულია, რომ „არისტოკრატები“ პრემიერლიგის ჩემპიონები გახდებიან და 5-ქულიანი სხვაობით ჩამორჩენილი არსენ ვენგერის „არსენალი“ ნაკლებად აღელვებს: „ვფიქრობ, ინგლისის ჩემპიონატში გავიმარჯვებთ. სიტყვა „ჩელსი“ ჩემთვის „ძლიერს“ ნიშნავს, თუნდაც იმიტომ, რომ შემიძლია, მატჩის მეორე ნახევარში მოედანზე დროგბას, პარკერის ან კეჟმანის მსგავსი ფეხბურთელები გამოვიყვანო“.

**ლადო ხომერიკი**

# ლივერპულს ელ მორო ნახევარ ფასად უნდა

**მადრიდის** „რეალსა“ და ინგლისურ „ლივერპულს“ შორის ფერნანდო მორიენტესის ტრანსფერზე მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. თავად „ელ მორო“ თანახმაა, პრემიერლიგაში ძალები მოსინჯოს, თუმც, სამმხრივი დაინტერესების მიუხედავად, კლუბებმა ჯერ საერთო ენა ვერ გამონახეს — მადრიდელები 10 მილიონ ევროს ითხოვენ, „ლივერპული“ კი მხოლოდ 5 მილიონზეა თანახმა..




„რეალმა“ მორიენტესით დაინტერესებული სხვა ინგლისური კლუბების შემოთავაზებებიც მიიღო, თუმც ისინი ფერნანდოზე მონადირე „ლივერპულს“ სიდიდით და მნიშვნელობით ვერ შეედრებიან. თავისთავად ცხადია, თუ მორიენტესი „სანტიაგო ბერნაბეუს“ მოტოვებას გადაწყვეტს, კარიერის გასაგრძელებლად ძლიერი გუნდი უნდა აირჩიოს. მართალია, „ლივერპულის“ ჩეხი მოიერიშე მილან ბაროში ამჟამად კარგ ფორმაშია და „წითლებს“ ახალი ფორვარდის მოყვანის აუცილებლობაც არ აწუხებთ, მაგრამ „ელ მოროზე“ უარის თქმა, ვინძლო, ალბიონელებს მომავალში სანანებლად დაურჩეთ.

**ლადო ხომერიკი**

**ესპანური** პრიმერადივიზიონის „ბარსელონა“— „ვალენსიას“ ამასწინანდელ მატჩს ძველ თანაგუნდელთა გასამხნევებლად ყოფილი ბარსელები, შვედი პატრიკ ანდერსონი და ჰოლანდიელი რონალდ დე ბური დაესწრნენ. შვედი ანდერსონი კატალონიაში განუყრელ ძმაკაცს, ჰენრიკ ლარსონს სტუმრობს და მასთან გასაუბრების მსურველ სპორტულ მედიას კვლავინდებურად სიტყვაძუნწი უარით იგერიებს. არაბეთს გადახვეწილი დე ბური კი ძველებურად ენაწყლიანია — ყატარის მზით გარუჯულმა რონალდმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ თავისი აღმოსავლური ცხოვრების შესახებ ხალისიანად ილაპარაკა. დე ბური გადამდგარი საფეხბურთო ლეგენდების სამოთხე ლიგით და ყატარში ყოფნით ფრიად კმაყოფილი ჩანს. „იქაურობა ძალიან მომწონს და ჩემი ოჯახის წევრებიც აღფრთოვანებულნი არიან. ახლა ყატარის ლიგაში შესვენებაა, ამიტომაც მთელი დღეები პეპთან (გვარდიოლასთან) გოლფის თამაშით ვერთობი“ — თქვა დე ბურმა. თუმცა, ჰოლანდიელის ბედნიერ შერბეთში მცირე რამ სიმწარე გარეულა: „ყატარი მუსლიმური ქვეყანაა და, ცხადია, იქ შობის დღესასწაულს არ აღნიშნავენ, 25 დეკემბერსაც ვარჯიში გვაქვს, თუმც ყატარში მოთამაშე ევროპელები და სამხრეთამერიკელები შობას მაინც ერთად აღვნიშნავთ“ — იმედიანად განაცხადა რონალდ დე ბურმა.

**ლადო ხომერიკი**

# კაცი გადამდგარი ლეგენდების სამოთხიდან



# მე ქილდემ გამქაჩამ

## თომას ჰესლერის ბედის საჩუქარი: მეორე ცოლი და ორი ძაღლი

*მკვირცხლი და გემრიელად მოფინტავე გერმანელი ნახევარმცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი თომას ჰესლერი 2003 წლამდე „მიუნხენ 1860"-ში თამაშობდა, მერე კი ერთი წლით ავსტრიულ „ზალცბურგში" გადაბარგდა და, როგორც ახლა იუწყებიან, სულაც უგუნდოდ ყოფილა. მაგრამ 38 წლის ვეტერანი მაინც მოედნისკენ იყურება და ბურთის გორებას კიდევ ლამობს. გერმანულმა „ბილდმა" იმ დღეს მისგან ინტერვიუ აიღო და პირველიც სწორედ ეგ ჰკითხა, ამხელა კაცს პროფესიული ფეხბურთი როგორ არ მოგბეზრდაო.*



— ჩვენთან ეგრეა, თუკი 38 წლის ხარ, ესე იგი, უკვე უნდა დაახვიო. მაგრამ ეს სისულელეა, მთავარი ასაკი კი არა, თამაშის ხარისხია. მე ისეთი მოთამაშეც ბევრი ვიცი, 40 წლამდე რომ უბურთავიათ. მოედანზე 50, 60 წუთიც რომ გაძლო, ეგეც საქმეა. ასე რომ, გაბანძების მე არ მეშინია

— ესე იგი, თავს რიგიანად გრძნობ?

- ჰო, რაღაც პერიოდი კიდევ გავქაჩავ.

— ბუნდესლიგას ეყოფით?

— მეორე ბუნდესლიგასაც არ დავიწუნებდი. ოღონდ პირველში გადასვლისთვის ბრძოლის თავი ალბათ აღარ მექნება.

— მართლა გინდათ, მეორე ლიგაში 3000-მდე გულშემატკივრის თვალწინ გააგოროთ ბურთი?

- ფეხბურთი ერთადერთია, რაც მეხერხება, გინდა იქ იყოს, გინდაც — აქ.

— თქვენი სხეული რას ამბობს?

— ნაოპერაციევი მარცხენა მუხლი აღარ მაწუხებს. უკვე ხუთი თვე გავიდა და თითქოს ყველაფერი რიგზეა. არადა, ადრე ასადგომად ამწე მჭირდებოდა.

— საქმეში მალე გიხილავთ?

— იანვარი უკანასკნელი ვადაა. დიდი მნიშვნელობა აქვს, მეორე წრისთვის მომზადებას გუნდთან ერთად თუ შევძლებ. თუმცა გუნდებიდან ახლა მხოლოდ „კაიზერი" მეკონტაქტება. „1860"-ს აღარ ვუნდივარ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

— არც არაფერი რომ არ გამოვიდეს?

— მაშინ იმაზეც დავფიქრდები, ბუცების ჩამოკიდების დრო ხომ არ მოვიდა-მეთქი. ასეთ შემთხვევაში, ეგებ სადმე მენეჯერად ან მრჩევლად გავიჩითო. მწვრთნელად ჩემი თავი მაინცდამაინც არ წარმომიდგენია, თუმცა უარი ეგებ არც ამაზე ვთქვა.

— ლიცენზია გაქვთ?

— არა, სამწუხაროდ არ მაქვს.

— ნაკრებში თქვენ 101 მატჩი გითამაშიათ და ამ მაჩვენებლით მეექვსე გერმანელი ფეხბურთელი ბრძანდებით, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს 400 ბუნდესლიგური შეხვედრა გაგიმართავთ და 68 გოლი შეგიგდიათ, მაგრამ რა იყო, რომ გერმანიის ჩემპიონი ერთხელაც ვერ გახდით?

— ჰო, ამ იარით მართლაც მიწევს ცხოვრება, მაგრამ როგორღაც ვუძლებ. ისე, ორჯერ „კიოლნთან" ერთად წკიპზე ვიყავი, თუმცა ორჯერვე ვიცეჩემპიონობას დავყაბულდით.

— თქვენი კარიერის საუკეთესო პერიოდი სად გაატარეთ?

— იტალიაში, სანამ ერთი წელი „იუვეში" ჩამივარდებოდა. „რომაში" გატარებული სამი წელი კი ფანტასტიკური იყო. საერთოდ კი, „დორტმუნდს" თუ არ ჩავთვლით, ცუდად არც ერთი გუნდი არ მახსენდება.

— ფიქრობთ თუ არა, რომ კარიერისას რამე მიგიქარავთ?

— ცხადია, შეცდომები ბევრი იყო, თუმცა ისეთი რამ, დღემდე რომ მქენჯნიდეს, ნაღდად არ მიმიქარავს.

— თქვენ მაინცდამაინც დიდ ვარსკვლავად არავინ მიგიჩნევთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ საკმარისად არ გაფასებენ?

— ხალხი ჩემს მიმართ ძალიან გულთბილი და მეგობრულია, ყველგან ავტოგრაფებს მთხოვენ, მაგულიანებენ. აღიარებად მე ესეც მყოფნის, ჩანს, უქმად დრო არ მიტარებია და ქომაგს არ ვავიწყდები.

— თქვენნაირი ჯადოქრიბლიორები აღარ არიან, რითი ახსნიდით ამას?

— რითი და იმით, რომ ბავშვებს ფეხბურთის სათამაშო ადგილი აღარსად დარჩათ. პატარაობისას ბერლინში ყოველ დღე ბურთს ვაგორებდი, ახლა კი არც იქ და არც სხვა დიდ ქალაქში ბურთის გასაგორებლად ფიორა ადგილიც აღარ დარჩა.

— მომავალში რა გეგულებათ?

— მიუნხენში ჩემი სამუსიკო გამომცემლობა და ინტერნეტკაფე მაქვს. მართალია, ბევრი აქედან არაფერი შემომდის, მაგრამ საქმე არც ძალიან ცუდადაა. მთავარია, რომ სხვებს მაინც ვასაქმებ. უმთავრეს დროს კი ჩემს მეორე ცოლ ანკესთან ერთად ვატარებ. ეს საუკეთესოა, რაც კი შეიძლება ცხოვრებაში შემმთხვეოდა. ჰო, ანკე და კიდევ ჩემი ორი ბომბორა ძაღლი.






*არსენ ვენგერმა თქვა, იენს ლემანს „არსენალიდან" წასვლა თუ სურს, წავიდესო. გერმანელი მეკარე ამჟამად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, ძირითადი „მეთოფე" კი ესპანელი მანუელ ალმუნია გახდა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლემანი გამოსაფხიზლებელში

## ვენგერმა გერმანელი შეაჯანჯღარა

„ლემანს შეუძლია დაგვტოვოს, მაგრამ ფეხბურთში მთავარია, რას აკეთებ მოედანზე, ხოლო წასვლას ყოველთვის მოასწრებ. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ნაღდი პროფესიონალია. ალალად ვიტყვი — იენს ლემანი სათადარიგოებში გადანაცვლებას გაგებით შეხვდა. ის მეტი მონდომებით ვარჯიშობს, ვიდრე ადრე" — განაცხადა ფრანგმა.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იურგენ კლინსმანი ნერვიულობს, რადგან მისი მეორე, არსენალელი მეკარე უქმადაა, არსენ ვენგერმა კი აღნიშნა, ეს ჩემი ბრალი არისო. „მე ვერ ვიფიქრებ ბუნდესნაკრების მეკარეებზე, ეს პრობლემა „არსენალშიც" მოსაგვარებელი მაქვს. ლემანი დიდი მეკარეა და რაკი გუნდის ძირითად შემადგენლობიდან ამოვარდა, ეს არ ნიშნავს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე თამაშის შანსი დაეკარგა. მე მხოლოდ მისი გამოფხიზლება მსურს და ასეთ ვითარებაშიც ამიტომ ჩავარდა".

ალმუნიასგან დაჩრდილულმა კი გუშინ გული გახსნა: „ჩემი კონტრაქტი კლუბთან 2006 წლის 30 ივნისს იწურება და „არსენალში" დარჩენას ვაპირებ. მომწონს პრემიერლიგა, ვვარჯიშობ და ვიმედოვნებ, რომ მალე ადგილს დავიბრუნებ. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ნეხევარი წელიც რომ ვითამაშო, ვფიქრობ, ესეც საკმარისი იქნება".

**ვაჟა ხუციშვილი**



# ფულის ზღვა დაშრა

## რუმენიგემ ბაიერნს ჯიბე ამოუკერა

მიუნხენის „ბაიერნის" თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემ ფეხბურთელები აქედანვე გააფრთხილა, ხელფასის მომატებზე არც იოცნებოთ, პირიქით, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ჯამაგირი შეგიმციროთო. „ერთი რამ ნათელია — საბაზრო ვითარება რადიკალურად შეიცვალა და გამორჩეული ხელფასი კაშკაშა ფეხბურთელსაც არ ექნება. ამჟამად გუნდში 26 მოთამაშეა და ზაფხულში მათი რიცხვი 22-მდე შემცირდება. ჩვენივე სკოლის აღზრდილებს თავის გამოჩენის მეტი შანსი უნდა მივცეთ. ვფიქრობ, რომ ყოველწლიურად ბევრი ახალი ფეხბურთელის შეძენა არასწორია. მხოლოდ ერთ ან ორ კაცს თუ დავიმატებთ. ამის შესახებ უკვე აპრილში ან მაისში გვეცოდინება" — განაცხადა რუმენიგემ.

„ბაიერნის" თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, „შტუტგარტში" განათხოვრებულ მცველს, ფილიპ ლამს აუცილებლად დავიბრუნებთ, რათა დაცვის მარცხენა ფლანგი გავაძლიეროთო. ლამმა „შტუტგარტში" ორი სეზონი გაატარა და გერმანიის ნაკრების მაისურაც მოირგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

**პერუ**

კლაუსურა
XXIV ტური

ატლეტიკო — სეზარ ვალეხო 2:1; უნიონი — ესტუდიანტესი 2:0; სპორტინგ კრისტალი — უნივერსიტარიო 4:2; უნივერსიდადი — მელგარი 2:2; ვანკა — სან მარტინი 1:0; ალიანსა — სპორტ ბოიზი 0:1; კორონელი — სიენსიანო 1:1

**კოლუმბია**

კლაუსურა. პლეი ოფი
ფინალი. საპასუხო მატჩი
ატლ. ნასიონალი 5:2(პენ.4:5)
ატლ. ხუნიორი (0:3)

**ჩილე**

კლაუსურა. პლეი ოფი
ფინალი. საპასუხო მატჩი
კობრელოა 0:0 უნიონ ესპანიოლა (3:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 2 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 16:00 | 3 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 18:00 | 4 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 18:00 | 5 | არსენალი-ფულემი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 6 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 18:00 | 7 | კრ. პალასი-პორტსმუთი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 8 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 9 | ევერტონი-სიტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 10 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 21:00 | 11 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 12 | იფსვიჩი-უიგანი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 82 | ბეტისი-ატლეტიკო | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 22:00 | 84 | ბარსელონა-ლევანტე | 1.2 | 6.0 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.88 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 83 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 22:00 | 85 | ბილბაო-მალიორკა | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 22:00 | 86 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.5 | 3.6 | 6.4 | 1.05 | 1.21 | 2.3 |
| 22:00 | 87 | ხეტაფე-რასინგი | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |
| 23:00 | 88 | რეალი-სევილია | 1.4 | 4.2 | 7.0 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 22:00 | 89 | მალაგა-სოსიედადი | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 90 | ალბასეტე-ვილიარეალი | 2.4 | 3.1 | 2.8 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 22:00 | 91 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.6 | 3.4 | 5.6 | 1.08 | 1.24 | 2.11 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 100 | ეიბარი-უელვა | 1.75 | 2.8 | 5.5 | 1.07 | 1.32 | 1.85 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 92 | კორდობა-ალავესი | 4.0 | 2.7 | 2.05 | 1.61 | 1.35 | 1.16 |
| 23:00 | 93 | სიუდადი-კადისი | 3.6 | 2.7 | 2.2 | 1.54 | 1.36 | 1.21 |
| 23:00 | 94 | ტერასა-სელტა | 2.65 | 2.6 | 2.9 | 1.31 | 1.38 | 1.37 |
| 22:30 | 95 | ელჩე-ეხიდო | 1.8 | 2.8 | 4.8 | 1.09 | 1.3 | 1.76 |
| 23:00 | 96 | ალმერია-ტარაგონა | 2.25 | 2.6 | 3.4 | 1.2 | 1.35 | 1.47 |
| 23:00 | 97 | ტენერიფე-მალაგა ბ | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 23:00 | 98 | სერესი-მურსია | 1.8 | 2.7 | 5.4 | 1.08 | 1.35 | 1.79 |
| 21:00 | 101 | ვალიადოლიდი-სალამანკა | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 22:30 | 102 | ლეიდა-სპორტინგი | 2.1 | 2.6 | 3.95 | 1.16 | 1.37 | 1.56 |
| | | **23 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 99 | პონტევედრა-ფეროლი | 3.15 | 2.6 | 2.45 | 1.42 | 1.37 | 1.26 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 104 | მარიტიმუ-პორტუ | 3.5 | 3.1 | 2.0 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 105 | სტრასბური-ლილი | 2.65 | 2.8 | 2.6 | 1.36 | 1.31 | 1.34 |
| 22:00 | 106 | ლე ავრი-სტ.ეტიენი | 3.2 | 3.0 | 2.1 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 22:00 | 107 | მონაკო-გენგამი | 1.3 | 4.2 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 2.86 |
| 23:00 | 108 | მონპელიე-პსჟ | 3.8 | 3.0 | 1.9 | 1.67 | 1.26 | 1.16 |
| 22:00 | 109 | ბასტია-ლანსი | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 22:00 | 110 | კლერმონი-დიჟონი | 2.0 | 2.9 | 3.6 | 1.18 | 1.28 | 1.6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:05 | 111 | სოშო-კაენი | 1.65 | 3.1 | 5.3 | 1.07 | 1.25 | 1.95 |
| 22:45 | 112 | ოსერი-ნანტი | 1.65 | 3.1 | 5.3 | 1.07 | 1.25 | 1.95 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 125 | პლზენი-სპარტა | 2.4 | 4.0 | 2.1 | 1.5 | 1.12 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 133 | სლოვანი-სკალიცა | 1.2 | 4.8 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 2.66 |
| 19:00 | 134 | ნიტრა-კოშიცე | 2.15 | 4.0 | 2.25 | 1.39 | 1.09 | 1.44 |
| 19:00 | 135 | დუბნიცა-პოპრადი | 2.95 | 4.3 | 1.65 | 1.74 | 1.05 | 1.19 |
| 19:00 | 136 | მიკულაში-ჟილინა | 2.05 | 4.2 | 2.2 | 1.37 | 1.06 | 1.44 |
| 19:00 | 137 | ზვოლენი-ტრენჩინი | 1.95 | 4.3 | 2.3 | 1.34 | 1.05 | 1.49 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 157 | ფრიბურგი-ლოზანა | 1.8 | 4.2 | 2.85 | 1.25 | 1.1 | 1.69 |
| 21:45 | 158 | კლოტენი-ცუგი | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 21:45 | 159 | ციურიხი-ბერნი | 1.8 | 4.2 | 2.85 | 1.25 | 1.1 | 1.69 |
| 21:45 | 160 | ლანგნაუ-ლუგანო | 2.8 | 4.3 | 1.8 | 1.69 | 1.09 | 1.26 |
| 21:45 | 161 | სერვეტი-ამბრი | 1.85 | 4.2 | 2.8 | 1.28 | 1.11 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 168 | დინამო-ს.იულაევი | 1.2 | 5.3 | 5.8 | 1.0 | 1.0 | 2.76 |
| 14:00 | 170 | მოლოტი-ნეფტეხიმიკი | 3.0 | 4.2 | 1.55 | 1.75 | 1.02 | 1.13 |
| 14:00 | 171 | ავანგარდი-ლოკომოტივი | 1.55 | 4.2 | 3.0 | 1.13 | 1.02 | 1.75 |
| 14:00 | 172 | აკ-სიბირი | 1.5 | 4.4 | 3.3 | 1.11 | 1.03 | 1.88 |
| 14:00 | 173 | ცსკა-აკ ბარსი | 2.5 | 4.3 | 1.7 | 1.58 | 1.01 | 1.21 |
| 14:00 | 174 | მაგნიტოგორსკი-ლადა | 1.65 | 4.2 | 2.8 | 1.18 | 1.03 | 1.67 |
| 14:00 | 175 | ხიმიკი-სპარტაკი | 1.4 | 4.4 | 3.6 | 1.06 | 1.0 | 1.98 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

# I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10082 | ბეტისი-ატლეტიკო | 2.55 | 2.1 | 3.5 | 1.15 | 1.47 | 1.31 |
| 10083 | ვალენსია-ესპანიოლი | 2.1 | 2.2 | 4.0 | 1.07 | 1.37 | 1.41 |
| 10084 | ბარსელონა-ლევანტე | 1.4 | 2.7 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 1.94 |
| 10085 | ბილბაო-მალიორკა | 2.1 | 2.2 | 4.3 | 1.07 | 1.41 | 1.45 |
| 10086 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.85 | 2.2 | 5.8 | 1.0 | 1.4 | 1.59 |
| 10087 | ხეტაფე-რასინგი | 2.5 | 2.0 | 3.6 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10088 | რეალი-სევილია | 1.7 | 2.4 | 6.5 | 1.0 | 1.34 | 1.75 |
| 10089 | მალაგა-სოსიედადი | 2.6 | 2.2 | 3.2 | 1.19 | 1.43 | 1.3 |
| 10090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 2.75 | 2.0 | 3.0 | 1.15 | 1.43 | 1.2 |
| 10091 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.0 | 2.1 | 4.6 | 1.02 | 1.39 | 1.44 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14082 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.7 | 2.2 |
| 14083 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.45 | 2.4 |
| 14084 | ბარსელონა-ლევანტე | 1.15 | 2.9 |
| 14085 | ბილბაო-მალიორკა | 1.45 | 2.4 |
| 14086 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.3 | 2.5 |
| 14087 | ხეტაფე-რასინგი | 1.65 | 2.1 |
| 14088 | რეალი-სევილია | 1.25 | 2.6 |
| 14089 | მალაგა-სოსიედადი | 1.8 | 2.0 |
| 14090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1.9 | 1.9 |
| 14091 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.45 | 2.4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11082 | ბეტისი-ატლეტიკო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11083 | ვალენსია-ესპანიოლი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11084 | ბარსელონა-ლევანტე | 1.5 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 10.0 | 12.0 |
| 11085 | ბილბაო-მალიორკა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11086 | ოსასუნა-ნუმანსია | 2.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 11087 | ხეტაფე-რასინგი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11088 | რეალი-სევილია | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11089 | მალაგა-სოსიედადი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11091 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12082 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 12083 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12084 | ბარსელონა-ლევანტე | 1.9 | 1.7 |
| 12085 | ბილბაო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12086 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.6 | 2.0 |
| 12087 | ხეტაფე-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12088 | რეალი-სევილია | 1.9 | 1.7 |
| 12089 | მალაგა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 12090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12091 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.8 | 1.8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13082 | ბეტისი-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 13083 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13084 | ბარსელონა-ლევანტე | 1.9 | 1.7 |
| 13085 | ბილბაო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13086 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13086 | ოსასუნა-ნუმანსია | 1.9 | 1.7 |
| 13087 | ხეტაფე-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13088 | რეალი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13089 | მალაგა-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13091 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15082 | ბეტისი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | ვალენსია-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ბარსელონა-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ბილბაო-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ოსასუნა-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | ხეტაფე-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | რეალი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | მალაგა-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ალბასეტე-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15091 | დეპორტივო-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა


გია გალდავა


დავით ნამგალაური


ედიშერ მაჩაიძე

# ნამგალაურმა მოადგილეები გააცხადა
## დეპარტამენტში განცხადებების წერა დაიწყეს

**სპორტის** სახელმწიფო დეპარტამენტის თავკაცისთვის განკუთვნილი კაბინეტი გუშინ დავით ნამგალაურმა დაიკავა. პირველი სამუშაო დღე ძირითადად ყოფილ და მომავალ თანამშრომლებთან საუბარში გაილია და ორი ახალი ხელმძღვანელის გვარიც გაცხადდა.

პირველ რიგში ნამგალაურის მოადგილეების ვინაობა გაირკვა. ლერი ხაბელოვისა და დავით გობეჯიშვილის ადგილები კვლავაც ჭიდაობაში მოტრიალეებმა — თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელმა გია გალდავამ და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ედიშერ მაჩაიძემ დაიკავეს.

სალამოხანს დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობის თათბირიც ჩატარდა, თუმც ჟურნალისტებისთვის დახურულად.

თათბირის პარალელურად ფოიეში დეპარტამენტის თანამშრომლები განცხადებებს წერდნენ. როგორც თათბირიდან სპეციალურად ჩვენთვის კომენტარის გასაკეთებლად გამოსული თავმჯდომარისგან შევიტყვეთ, გათავისუფლების განცხადებას ყველა თანამშრომელი დაწერს. ახალი ხელმძღვანელობა მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, ვის გაუშვებს და ვის დატოვებს.

„საკადრო ცვლილებებით ვიწყებთ, მაგრამ ამის გარდა უამრავი პრობლემა დაგვხვდა — გვითხრა ნამგალაურმა — მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თურმე შენობა, რომელშიც ვმუშაობთ, ჩვენ არ გვეკუთვნის და მხოლოდ ეს სართულია სპორტის დეპარტამენტისა. ცალკე თემაა შენობის დაუშნოვებული ფასადი. პირველი სამუშაო დღე მაქვს და ცოტა ძნელია კომენტარის გაკეთება. დაახლოებით ერთ-ორ კვირაში დავლაგდებით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მასმედიასთან ურთიერთობასაც მივხედავთ.“

**ოთარ მაღლაკელიძე**

ოლიმპიზმი

# შეფი კმაყოფილია
## ჟაკ როგმა დოპინგთან მებრძოლებს ხელი გადაუსვა



**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა განვლილი წელი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, წლეულს კომიტეტმა კარგად იმუშავა და შეუძლია, ეს სეზონი აქტივში ჩაიწეროსო. როგმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა დოპინგს და წლეულს მის ბადეში მართლაც მრავლად გაება „წვრილი თევზიცა“ და „ვეშაპიც“.

პრეზიდენტმა ოლიმპიადაზე გამოჭერილი სპორტსმენებიც გაიხსენა, ხოლო უმთავრეს მიღწევებად მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს გავლენის გაფართოება და აშშ-ს მსხვილი ლაბორატორია BALCO-ს დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენა დაასახელა. ამას გარდა როგმა სამეცნიერო სფეროში მიღწეულ წარმატებებზეც ისაუბრა და დასტურად ერითროპოეტინის აღმოჩენა და ათენში პირველად გამოყენებული სისხლის ანალიზები დაასახელა.

# პეკინს სტუმრიანობა აფიქრებს

**ოლიმპიური** თამაშების მასპინძლის შერჩევისას ყოველივეს ითვალისწინებენ, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მერე თანდათან ათასნაირი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. გამონაკლისი არც პეკინი აღმოჩნდა, რომელიც — მოგეხსენებათ — 2008 წლის თამაშებს მასპინძლობს.

როცა ეს ქალაქი ოლიმპიურ დედაქალაქად აირჩიეს, მაშინ პეკინში სასტუმროების ხარისხი, მათი რაოდენობა და დამატებითი მშენებლობების პერსპექტივაც გაითვალისწინეს, ახლა კი ირკვევა, რომ ამ მხრივ ჩინეთის დედაქალაქს პრობლემები ელის. ამის თაობაზე ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან. წინასწარი მონაცემებით, პეკინს ტურისტებისთვის საოლიმპიადოდ ორ მილიონზე მეტი ადგილი დასჭირდება.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გაისად გაზაფხულზე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს განუზრახავთ კონფერენციის ჩატარება. იმ კონფერენციაზე საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციებისა და სასტუმროთა ქსელების წარმომადგენლებს მიიწვევენ და მათთან ერთად გაზრდილ მოთხოვნილებებზე იმსჯელებენ.

**ლადო ფულუკიძე**




# ცეცხლოვანი იტალიელები უკვე ჩირაღდანზე ფიქრობენ

torino 2006

**2006 წლის** ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგაო, ვერ იტყვი, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მეტად შორსმჭვრეტელი და წინდახედული ხალხითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც თადარიგის დაჭერა წინდაწინ იციან.

რითი იწყება ოლიმპიადა და ოლიმპიური ცეცხლით, რომელმაც ჩაუქრობლად უნდა ჩააღწიოს ბერძნული ოლიმპიადან დანიშნულების ადგილამდე. ამიტომ პირველი, რაზეც ორგანიზატორებმა იზრუნეს, ოლიმპიური ჩირაღდნის დამზადებაა. ეს საქმე კომპანია „პინინფარინამ“ ითავა და მისი მესვეურები გვარწმუნებენ, ჩირაღდნის ისეთ კონსტრუქციას შევქმნით, ქარმა ვერაფერი დააკლოს, თუნდაც 100 კმ/სთ სიჩქარით დაუბეროსო. ანთებული ცეცხლის სიმაღლე 10 სმ იქნება, საწვავი — არატოქსიკური და უსუნო, ფერი — მოწითალო-მოყვითალო, დღისითაც რომ გამოჩნდეს და ღამითაც.

2005 წლის 7 დეკემბერს ჩირაღდანი რომში ჩაბრძანდება, იქიდან კი 64-დღიან მოგზაურობაში გაემართება ტურინამდე. იგი სულ 10 000-მდე ადამიანის ხელში გაივლის, რომელთა შორისაც ცნობილი სპორტსმენები, საზოგადო და კულტურის მოღვაწეები იქნებიან. მათ გარდა ცეცხლის ტარების უფლების მოპოვება უბრალო „მოკვდავთაც“ შეუძლიათ. ყოველ ეტაპზე ჩირაღდანი ორმა ადამიანმა უნდა წაიღოს. ერთ-ერთი მათგანი იმ რეგიონში დაბადებული ოლიმპიური ჩემპიონი იქნება, რომელშიც ეტაპი იმართება, მეორე კი კონკურსის წესით არჩეული რიგითი მოქალაქე. ამ კონკურსში მონაწილეობისთვის მხოლოდ განცხადების შეტანაა საჭირო და ყველა იტალიელს შეუძლია, თუ 10 წლის მაინც არის და რომელიმე არჩევითი თანამდებობა არ უკავია.

# სადოპინგო შენაშრობანი

უცნაურია, ათასგვარი სტიმულატორების მიღებას თუ ათლეტები რაგინდარა საშუალებებით ნიღბავენ, მოულოდნელად ერთი სპორტსმენი გამოჩნდა და საკუთარი ნებით გამოტყდა, დოპინგის წყალობით „რკინის ადამიანი" გავხდიო. ეს თეთრი ყვავი გერმანელი ტრიატლონისტი ნინა კრაფტი აღმოჩნდა.

ნინა კრაფტმა თქვა, 16 ოქტომბერს ჰავაის კუნძულებზე გამართული დიდი ტურნირის წინ, რომელსაც „რკინის ადამიანს" უწოდებენ, ერიტროპოეტინი მივიღეო.

ნინამ ისიც განმარტა, რომ ამგვარი სტიმულატორი სისხლში წითელი ბურთულების კონცენტრაციას ზრდის და სამი კვირის განმავლობაში მართლაც რკინასავით ხარო.

ასე იყო თუ ისე, ნინამ იმ შეჯიბრებაში მართლაც გაიმარჯვა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უკეთურობაში თავადვე გამოტყდა, მას ორწლიანი დისკვლიფიკაცია მაინც „გამოუწერეს."

დოპინგთან დაკავშირებით ცოტა არ იყოს, თავს უცნაური ისტორია გადახდა სხვა სპორტსმენ ქალსაც. ეს გახლავთ ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი მიშელ კოლინზი, რომელმაც შარშან ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა.

გამოძიებით დადგინდა, რომ კოლინზი კალიფორნიის ლაბორატორია BALKO-ს მომსახურეობით სარგებლობდა და აკრძალულ ნივთიერებებს ღებულობდა.

ამ ისტორიაში უცნაური ისაა, რომ კოლინზს ვერცერთი დოპინგანალიზით ვერ აღმოუჩინეს ამგვარი ნივთიერებების მიღების კვალი.

ამერიკული საარბიტრაჟო ასოციაციის ვერდიქტში ნათქვამია: „მოსმენისას დამტკიცდა, რომ კოლინზი ერიტოპოეტინს, ტესტოსტერონს და ტეტრაჰიდროგესტრინონს ღებულობდა."

ამგვარად, კოლინზი აღმოჩნდა პირველი სპორტსმენი, რომელსაც დისკვალიფიკაცია ისე მიესაჯა, რომ დოპინგანალიზებს დადებითი შედეგები არ უჩვენებიათ.

33 წლის კოლინზს ტრადიციული 2-წლიანი დისკვალიფიკაციის ნაცვლად ორჯერ მეტი მიუსაჯეს, რადგან იგი BALKO-ს საქმიანობის დაფარვაში მონაწილეობდა.

ამასობაში არ ცხრება ვნებათაღელვა არაერთგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი სპრინტერის მერიონ ჯონსის სახელის გარშემო. მას BALKO-ს ლაბორატორიის დირექტორი ვიქტორ კონტე დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებს, თავად სპორტსმენი კი დაჟინებით მოითხოვს, კონტე სიცრუის დეტექტორზე შეამოწმეთო. სიცრუის დადგენის შემთხვევაში მერიონ ჯონსი კონტესგან მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 25 მილიონ დოლარს ითხოვს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



მერიონ ჯონსი





იყო დრო, ვლადიმერ ბოისა და დავით უგრეხელიძე თანაგუნდელები იყვნენ

# რა ვქნა, რით გაგაოცოთ

## ბოისამ უგრეხელიძეს პივოვარნა მოუგრიხა

უკვე მერამდენედ გვიხდება ლეგიონერთა ამბების ვლადიმერ ბოისათი დაწყება. სხვა რა გზაა, უნდა დავიწყოთ, რაკი ვოვომ სიჩქარე აკრიფა და, როგორც ჩანს, გაჩერებას აღარც აპირებს.

ბოლო კვირებია, ბოისა საუკეთესოა „ხუთჯვაროსან" ლეგიონში. ვინც არ უნდა შეეყაროს მის „ოლიმპიას", ვოვას შემჩერებელი არავინაა. ამჯერად მისმა გუნდმა სლოვენიური დერბი გამართა ადრიატიკის ლიგაში და ამ მატჩს შეიძლება „ქართული დერბიც" ვუწოდოთ. ბოისას და მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპია" დავით უგრეხელიძის „პივოვარნას" შეხვდა და შავი დღე აყარა. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ბოისამ აყარა შავი დღე „მელუდეებს" — 34 წუთში მოხვეჭილ 20 ქულას 13 მოხსნაც მოაყოლა.

„ოლიმპიამ" მეტოქე 81:63 დაამარცხა, მაგრამ მთავარი უფრო ისაა, რომ ბოისამ ლიუბლიანურ გუნდში ლიდერობა საბოლოოდ ხელთ იგდო — აქამდე მას მხოლოდ სტაბილურობა აკლდა და ახლა ამ პრობლემასაც აღარ უჩივის.

ვოვას სჩვეოდა ჩავარდნები, თუმც ამას უფრო სტატისტიკას შემყურე ხალხი თუ იტყვის. თავად ბოისა დაცვას ყოველთვის მეტ ყურადღებას აქცევდა და თავის 5-6 ქულიან თამაშზე ხშირად უთქვამს, კმაყოფილი ვარო. ის არცთუ ხშირად აგდებდა 10 ქულაზე მეტს და მაინც აირჩიეს „ოლიმპიას" კაპიტნად, რადგან გამართული კალათბურთის თამაში სხვებზე უკეთ იცოდა და დაცვაშიც გაუვალი იყო. ახლა კი ვოვა ყოველ მატჩში სცდება ათქულიან ზღვარს და ოცსაც გადასწვდება ხოლმე. მისთვის ორმაგი დუბლის გახერხებაც კი აღარ წარმოადგენს პრობლემას.

ბოისას ჩაუქრობამ ერთი ხელის გაქნევით მოაგებინა „ოლიმპიას" და ადრიატიკის ლიგაში ლიდერობა გაუმყარა. მოედანზე ასევე გვარიანი დრო დაჰყო მანუჩარ მარკოიშვილმა, მაგრამ თანამემამულეს შედეგიანობაში რას გამოეკიდებოდა: მანომ სამი ქულა და ამდენივე ჩაჭრა გაახერხა.

პივოვარნელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო დავით უგრეხელიძე, რომელმაც 19 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა მოიხვეჭა, თუმც ქართველი კაპიტნით შეგულიანებულ ოლიმპიელებს მხოლოდ მისი აქტიურობა [illegible]

ბოისას [illegible] არ იყოს, დიჟონელი ვიქტორ სანიკიძე [illegible] ალებულ გეზს. მართალია, იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და ნაკლებად ენდობიან, მაგრამ მის ხელმარჯვობას ყველა ამჩნევს. „ვიკა" ამ შაბათს ჩინებულად გაისარჯა ფრანგულ ლიგაში „სტრასბურის" წინააღმდეგ — 26-წუთიანი ბურთაობა 13 ქულითა და 5 მოხსნით დაასრულა და ჩვენთვის ნაკრები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „დიჟონმა" ეს თამაში წააგო.

წააგო შემონდ უილიამსის „უნიქსმაც" და ფიბა-ევროლიგის ჯგუფიდან გასვლა სათუო გაიხდა. ქართულპასპორტიან ზანგს კი ბასრი ხელი დაუბლაგვდა და თუ „ფენერბახჩესთან" 15 ქულის მოქუჩება მაინც შეძლო, ცსკა-სთან წაგებულ მატჩში მხოლოდ 9 გამოუვიდა. ეს გასაგებიცაა, რადგან მთელს რუსეთში ერთი ცსკა თუა, „უნიკსის" დარი გამოცდილი გამთამაშებელი რომ მოეპოვება. მოგეხსენებათ, არმიელებს ამერიკელი მარკუს ბრაუნი და ჯეიარ ჰოლდენი წინამძღოლობენ, რომლებთანაც თვით შემონდ უილიამსიც ვერაფერს გახდა.

ოკეანგაღმიდან კი სულ უფრო უიმედო ამბები მოდის ნიკა ცქიტიშვილის შესახებ. ნიკას ძალიან ძუნწად ათამაშებენ და ისიც ისეთს ვერაფერს აკეთებს, მწვრთნელს გული მოულბოს. აგერ, „ორლანდოსთან" უიმედოდ წაგებულ მატჩში „სკიტა" 12 წუთით გაიყვანეს მოედანზე, მაგრამ 2 ქულა და 4 მოხსნა დიდად ვერ გააკვირვებდა ჯეფ ბზდელიკს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | პივოვარნა<br>აეკ | შ<br>ს | 81:63<br>75:76 | 34<br>36 | 20<br>17 | 13<br>2 | 0<br>0 | 1<br>0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | პივოვარნა<br>აეკ | შ<br>ს | 81:63<br>75:76 | 28<br>15 | 3<br>4 | 1<br>3 | 2<br>1 | 3<br>0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა<br>ულების თასი | ოლიმპია<br>კაფენბერგი | ს<br>ს | 63:81<br>93:55 | 19<br>19 | 9<br>9 | 6<br>2 | 0<br>0 | 0<br>2 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუს.)<br>ფიბა-ევროლიგა | ცსკა<br>ფერენბახჩე | ს<br>ს | 71:76<br>60:75 | 32<br>38 | 9<br>15 | 3<br>5 | 9<br>2 | 0<br>1 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | სტრასბური<br>იონიკოსი | შ<br>შ | 84:86<br>93:82 | 26<br>13 | 13<br>2 | 5<br>4 | 1<br>0 | 1<br>1 |
| სერგო ათუაშვილი | შალონი | PRO A საფრანგეთი | შამპანი | შ | 89:58 | არ უთამაშია | | | | |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B საფრანგეთი | ორლეანი | ს | 90:93 | არ უთამაშია | | | | |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | საკრამენტო<br>ჩიკაგო<br>ფილადელფია | შ<br>ს<br>შ | 86:89<br>77:85<br>97:116 | 17<br>16<br>2 | 2<br>5<br>1 | 3<br>3<br>1 | 3<br>0<br>0 | 0<br>0<br>0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ბოსტონი<br>მაიამი<br>ორლანდო | ს<br>ს<br>ს | 100:99<br>100:107<br>95:117 | არ უთამაშია<br>12 | <br>0 | <br>4 | <br>0 | <br>2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

# დიდიას დიდი ნახტომი

## საფრანგეთში მერვე კაცი წავიდა

თუ ასე გაგრძელდა, საფრანგეთში წასული ქართველებისგან ერთი სრულყოფილი გუნდი გაკეთდება. დღესდღეობით იქ შვიდი ქართველი თამაშობს, რომელთაგან სამი — ვატო ნაცვლიშვილი, ვიქტორ სანიკიძე და სერგო ათუაშვილი — უმაღლესი დივიზიონის გუნდებში ირიცხება. ამას წინათ საფრანგეთში კიდევ ერთი ჩვენიანი, დინამოელი რევაზ დიდია გაემგზავრა, რომელიც პარიზის გუნდ „რასინგში" გუშინ ჩაირიცხა.

დიდიამ ამ ზაფხულს ჭაბუკთა ნაკრებში ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუმც ძლიერი კონკურენტების გამო მოედანზე მცირე დროს ატარებდა. ის საკადეტო ასაკში იყო და გამორჩეული მონაცემების გამო აიყვანეს ჭაბუკთა ნაკრებში, თუმც მისი ნიჭიერება უფრო „დინამოში" გამოჩნდა.

დიდია ორ მეტრზე ოდნავ მაღალია და ფარქვეშეთთან ერთად თავისუფლად თამაშობს პერიმეტრზეც. მას მიზანიც კარგი აქვს და ჯანიც არ აკლია, პარიზელებმაც ამიტომ დაადგეს თვალი და „რასინგში" მიიწვიეს. ამ გუნდში უკვე თამაშობს ერთი ჩვენიანი, 18 წლის გიორგი მამაცაშვილი, რომელიც პარიზელთა დუბლიორებშია.

დიდიამ კონტრაქტი „რასინგთან" კი გააფორმა, მაგრამ თავდაპირველად ამ გუნდის დუბლიორებში ითამაშებს და თუ ფხა გამოიჩინა, ეგებ ძირითადშიც მოიპოვოს ადგილი.

**ირაკლი პერტაია**

## NBA ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ


REUTERS

მემფისელი ლორენცენ რაიტი კლიპერსელ მაიკ მურს აესვეტა

# ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲙᲚᲐᲕᲗ

## ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

— 19 დეკემბერი —

**ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 82:92 ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ**

ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ: მეჯიტი (22), ბრენდი (19 ქულა, 12 მოხსნა)

ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ: გასოლი (20), უილიამსი (17), მილერი (14)

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 110:99 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ**

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ: პიტერსონი (20), მიურეი (18), როუზი (17)

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ: ჯეფერსონი (38), კრსტიჩი (15)

**ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 94:93 ᲘᲣᲢᲐ**

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ: კროუფორდი (24), მარბერი (19 ქულა, 11 პასი)

ᲘᲣᲢᲐ: პარპრინგი (21), ბელი (20), ბუზერი (19), ოქური (13 ქულა, 14 მოხსნა)

**ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 117:107 ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ**

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ: ონილი (27), ე. ჯონსი (25), ვეიდი (22)

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ: ფრენსისი (31), მობლი (22), ჰილი (20)

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 107:71 ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ**

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ: სტოიაკოვიჩი (21), მილერი (17), ბიბი (16), სონგაილა (13 ქულა, 11 მოხსნა)

ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ: ბრაუნი (14), დიკაუ (14)

თურმე ვინს კარტერი ტვირთი ყოფილა „ტორონტო რეპტორზისთვის“. თან წასვლაც რომ უნდოდა! ბოლო-ბოლო, გაუშვეს და გუნდიც ათამაშდა. ათამაშდა კი არა, აიწყვიტა.

კარგა ხანია, „ტორონტოს“ ასე გემრიელად არ მოუგია, ამასთან კვირა ღამეს „ტირანოზავრებმა“ სწორედ იმ გუნდს სძლიეს, სადაც მათი ყოფილი წინამძღოლი გააგრძელებს კარიერას. „ნიუ ჯერსი“ თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ თანდათან გატყდა. აქამდე კარტერის ჩრდილში გამხმარმა ნიჭიერმა ფორვარდმა ლემონდ მიურეიმ, როგორც იქნა, გაილაღა და ბოლო მეოთხედში 12 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, საბოლოოდ კი სეზონში უმეტესი 18 ქულა მოიხვეჭა.

სხვათა შორის, „ტორონტოს“ განაცხადში ჰყავდა კარტერის ნაცვლად „ნიუ ჯერსიდან“ გადმოყვანილი მოთამაშეები ზო მურნინგი, ერიკ უილიამსი და ამის მოგვარე აარონი, მაგრამ ამათგან მოედანზე არავინ გამოსულა. „ნიუ ჯერსის“ კი განაცხადშიც არ ეწერა კარტერი, რომელზეც ამხელა იმედს ამყარებს. მფრინავი ვინსენტი ტრავმირებულთა სიაშია და არავინ იცის, როდის გამოჯანმრთელდება. „ნეთსის“ მწვრთნელმა ლოურენს ფრენკმა კი თქვა — უფრო შეგირდების გასაგონად — რომ მაგის გამოკეთებამდე ლოდინი და ხელების ჩამოშვება უაზრობააო — „ჩვენ ვერ დაველოდებით ვინმე გარეულს, რომელიც საიდანლაც მოვა და გვიშველის. ჩათვალეთ, რომ ასეთი არ არსებობს და მასზე ფიქრი სულელური ოცნებასავითაა. ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ საკუთარ თავს.“

ნაშველები ექნებოდათ, სეზონის დაწყებამდე გუნდის შეფებს სხვა გუნდებისთვის რომ არ ეჩუქებინათ თავიანთი ავლადიდება — თუნდაც კენიონ მარტინი („დენვერში“ წავიდა) ან კერი კიტლზი („კლიპერში“).

„საკრამენტო კინგზისთვისაც“ მუდმივი პრობლემაა ტრავმები და წამყვანი მოთამაშეების ხან რიგრიგობით და ხან ერთბაშად გამოკლება, მაგრამ ეს გუნდი წლიდან წლამდე მაინც აჩერჩებს ცხრილის ზედაპირზე ტივტივს. ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ კრის ვებერმა წინა სეზონში თამაშების ორი მესამედი გამოტოვა და ახლაც გაუმიზეზდა რაღაც ტრავმა (ბევრი კი გადაუტანია). ამის მიუხედავად, სათადარიგოთა ძალისხმევით „მეფეებმა“ სულ იოლად გადაყლაპეს ასევე ტრავმებით შეკლული „ნიუ ორლეანი“. „კინგზის“ დამწყებ ხუთეულში ვებერის ადგილი ჯეელმა დარიუს სონგაილამ დაიკავა და თუმცა სიცხე ჰქონდა, მისისიპიდან წასაგებად მოფრენილ „კრაზანებს“ 13 ქულა ჩაუგდო და 11 ბურთი მოუხსნა.

დიდი ჯახი გაიმართა მაიამიში, სადაც ფლორიდულ დერბიში სტუმარი „მეჯიქი“ დამხვდურ „ჰითს“ ამარცხებდა. მასპინძლებს შაკილ ონილმა მოაგებინა, ვინაც ერთხელაც დაამტკიცა, რომ ბურთის გრუნზუნით ჩატენვისა და საჯარიმოების აცილების გარდა სხვა რამაც ტორეწიფება — ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში ორი უმნიშვნელოვანესი პასი გააკეთა და სათავე დაუდო თავისიანთა აფეთქებას. „მაიამიმაც“ საბოლოოდ 10 ქულით აჯობა თანაშტატელ „ორლანდოს“ და აღმოსავლეთში პირველობა კიდევ უფრო განიმტკიცა.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ | | | |
|---|---|---|---|
| **ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲐ** | | | |
| ნიუ იორკი | 13 | 11 | 54,2 |
| ბოსტონი | 11 | 12 | 47,8 |
| ფილადელფია | 10 | 13 | 43,5 |
| ტორონტო | 9 | 17 | 34,6 |
| ნიუ ჯერსი | 7 | 16 | 30,4 |
| **ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ** | | | |
| კლივლენდი | 14 | 10 | 58,3 |
| ინდიანა | 12 | 11 | 52,2 |
| დეტროიტი | 12 | 11 | 52,2 |
| ჩიკაგო | 7 | 15 | 31,8 |
| მილუოკი | 6 | 15 | 28,6 |
| **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** | | | |
| მაიამი | 19 | 7 | 73,1 |
| ვაშინგტონი | 13 | 9 | 59,1 |
| ორლანდო | 14 | 10 | 58,3 |
| შარლოტი | 6 | 14 | 30,0 |
| ატლანტა | 4 | 20 | 16,7 |

| ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ | | | |
|---|---|---|---|
| **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** | | | |
| სან ანტონიო | 20 | 5 | 80,0 |
| დალასი | 16 | 9 | 64,0 |
| ჰიუსტონი | 11 | 13 | 45,8 |
| მემფისი | 11 | 15 | 42,3 |
| ნიუ ორლეანი | 2 | 21 | 8,7 |
| **ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** | | | |
| სიეტლი | 18 | 5 | 78,3 |
| მინესოტა | 15 | 8 | 65,2 |
| დენვერი | 13 | 11 | 54,2 |
| პორტლენდი | 12 | 11 | 52,2 |
| იუტა | 10 | 15 | 40,0 |
| **ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ** | | | |
| ფინიქსი | 21 | 3 | 87,5 |
| საკრამენტო | 16 | 7 | 69,6 |
| ლეიკერსი | 13 | 10 | 56,5 |
| კლიპერსი | 11 | 12 | 47,8 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 17 | 29,2 |



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ...

## ᲐᲚᲐᲜ ᲛᲐᲘᲝ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲘᲨᲚᲘᲗ

*ქართული რაგბის მოყვარულები უკვე დიდი ხანია, შეგუებულები არიან იმ აზრს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები წარმატებებს უმოედნოდ აღწევს. თავიდან ყველას უკვირდა, ნუთუ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ ნაკრებს საკუთარი სარაგბო სტადიონი არა აქვსო?! უცხოელები არ იჯერებდნენ ასეთ „აბსურდს“ და იღიმებოდნენ, კონკურენტი გნუდის თავკაცები კი თვლიდნენ, რომ ქართველები მათ ატყუებდნენ. თუმც ფაქტი ჯიუტია, საქართველოში არა მარტო ნაკრებს, არამედ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებსაც არა აქვთ სავარჯიშო მოედნები. პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრა ორი წლის წინ ფრანგმა ალან მაიომ გადაწყვიტა და საბურთალოზე, გეოფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე მიტოვებული ფეხბურთის მოედნის შეკეთება განიზრახა, მაგრამ როგორც „მუსიე“ ალანმა გვითხრა, საქართველოში საჩუქარზეც კი ძალიან ბევრი პრობლემა შეიძლება შეხვდეს ადამიანს:*

— იმედგაცრუებული ვარ თქვენი პოლიტიკური მამებისგან, რადგან როდესაც სათანადო ინსტანციებში მივედით და სტადიონის პროექტი წარვუდგინეთ აღფრთოვანდნენ, დაგვპირდნენ, დაგეხმარებითო და დღემდე ველით მათ დანაპირებს.

— **რა სახით უნდა დაგხმარებოდნენ?**

— მოედანი თუ არ გადიდდა და არ მიიღო სათანადო ზომები, მასზე პროფესიული რაგბის თამაში შეუძლებელი იქნება. ხელს კი მოედანზე არსებული ნახევრად დანგრეული შენობა გვიშლის. ამ შენობის დანგრევის შემდეგ შევძლებთ სამუშაოების დაწყებას: პარადოქსი ის არის, რომ თანხები გვაქვს და მხოლოდ შენობის მოცილებას ვითხოვთ.

— **ხომ არ იცით, შენობის დანგრევის ნება, ვინ უნდა დაგრთოთ?**

— სწორედ ეს არის საკვირველი, რომ აქამდე ვერ გავარკვიეთ, ვინ არის პასუხისმგებელი.

— **რა შენობაა?**

— ოდესღაც გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოფიზიკის ლაბორატორია იყო.

— **მოედანის აშენებას რა ფინანსებით გეგმავთ?**

— გვყავს სპონსორები, რომლებიც ელიან, როდის იქნება სტადიონს სარაგბო მოედნის სტანდარტული ზომა.

— **ეს მოედანი კონკრეტულად რომელიმე კლუბისა იქნება?**

— კლუბი „ჯიქები“ ივარჯიშებენ, თუმცა გვინდა, ყველა ქართველი მორაგბისათვის ავაშენოთ სარაგბო ცენტრი, რომელშიც მოედნის გარდა ბარი, გასახდელები და ტრენაჟორების დარბაზი იქნება. ვფიქრობთ, „სარაგბო კუნძული“ ვუწოდოთ ამ კომპლექსს.

— **შეჯიბრებების გამართვასაც ხომ არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, თუნდაც საქართველოს ჩემპიონატისთვის სათანადო მოედანი ექნებათ კლუბებს.

— **ვის მიმართეთ, თუ საიდუმლო არ არის?**

— გეოფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობიდან დაწყებული პარლამენტარებით დამთავრებული ყველას. დავით კირკიტაძეს შევხვდით, რომელიც მაშინ ბავშვთა სპორტს კურირებდა. რა თქმა უნდა, პროექტით აღფრთოვანდა, ფანტასტიკურიო, დაგეხმარებითო, თუმცა... ყველას მოსწონს იდეა, დახმარებით კი არავინ გვეხმარება. ეტყობა, საქართველოში ასეა მიღებული.

— **ხომ არ იცით, ვის არ აძლევს ხელს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ხელს არ აძლევს ასეთი პროექტის განხორციელება. ეს უბრალოდ ქართული დაუდევრობის ბრალია. როგორც უკვე მივხვდი, საქართველოში მხოლოდ ლაპარაკობენ, საქმეს კი... აბა, საფრანგეთში მოხდეს ასეთი რამ... ვინმე იხვეწებოდეს, თქვენს მორაგბეებს სტადიონს ავუშენებო, უმალ დაეხმარებოდნენ და [illegible] მადლობას გადაუხდიდნენ.

— **სპორტის მინისტრთანაც ხომ არ მიხვედით?**

— დიახ, ისიც აღფრთოვანდა და ველით გამოხმაურებას.

**ᲜᲘᲜᲝ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ**


REUTERS ენგელბერგიდან

# ქალაქი ფეხქვეშ

ლამაზია ზამთრის შვეიცარია. ტრამპლინმა იცის მხტომელის ფეხქვეშ პატარა და კოხტა ქალაქის მოქცევა. და კიდევ, ფოტო ეშმაკობა. ენგელბერგში კი ტრამპლინის მსოფლიოს თასი მიმდინარეობს.

# თეთრი ხელთათმანები

ვინა გვყავს მაგარი კრივში და კოსტია ძიუ, თუმც [illegible] ავსტრალიელიათ, ტომით კი კორეელით, მაგრამ მაინც რუსიათ. ჰოდა, ვლადიმირ პუტინმა ბევრზეის ჩემპიონი კოსტია ძიუ [illegible] ოლიმპიურ ელჩად დანიშნა 2012 წლის ოლიმპიადის სამასპინძლო საქმეში. კოსტიამ თეთრი ხელთათმანები აჩუქა პრეზიდენტს. ძნელია თეთრი ხელთათმანებით რუსული საქმის კეთება.


REUTERS მოსკოვიდან



REUTERS სეულიდან

# ნორჩი ჩემპიონი

სეულში ქალთა კრივობა შეიყვარეს, მით უმეტეს, რომ მათმა კიმ ჟუნჰიმ ამერიკელ მელისა შეფერს აჯობა და მსოფლიო ჩემპიონიც შეიქნა. საქმეს ფერადოვნებას ისიც მატებს, რომ ჩემპიონი 18 წლისაა. მაინც უვარგისი საცქერია ქალთა კრივობა.

# დიდი პრიზი

პეკინში ფიგურული სრიალია: დიდი პრიზის გათამაშება. ჩინელები შენ ხუე (გოგო) და ჟაო ჰონგბო კოხტად ასრულებენ მოკლე პროგრამას.


REUTERS პეკინიდან



REUTERS ალტაბადიდან

# ნაშცდა

ასე დაგმართებს ხოლმე გიგანტური სლალომი: ალტაბადიას მთებში, მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა იტალიელი არნოლდ რეიდერი. მოგებული კი გიგანტურ სლალომში კანადელი ტომას გრანდი დარჩა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge